საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 54 (1070)
სამშაბათი, 16 მაისი, 1995 წელი.
ფასი 200000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნებათა სიგელების გადაცემა

13 მაისს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალურ მიღებათა დარბაზში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ნორბერტ ბაასმა რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურთან გაიმართა შეხვედრა, სადაც ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ ის ყოველთვის იდგება საქართველოს ხელისუფლების გვერდით და აქტიურად დაუჭერს მხარს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს. ნორბერტ ბაასმა ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელიც ბატონმა შევარდნაძემ შეასრულა გერმანიის გაერთიანების პროცესში.

სახელმწიფოს მეთაური მიესალმა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში ჩამოსვლას და აღნიშნა, რომ ქართველებს ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარული და სიმპათიები ამოძრავებდათ გერმანელი ხალხისა და მისი კულტურის მიმართ. გერმანია ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც ყველაზე რეალურ დახმარებას უწევს საქართველოს.

ბატონმა შევარდნაძემ ისაუბრა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კრიმინოგენულ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ „თუ საქართველოს ეკონომიკაში გამოცოცხლება და წინსვლა შეიმჩნევა, ეს გერმანიის დამსახურებაც არის“.

გერმანიის ელჩმა აღნიშნა, რომ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია გერმანიის პოლიტიკაში. „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გავიდეს“.

ბატონმა ბაასმა კმაყოფილებით აღნიშნა ის სასიკეთო ძვრები, რომელიც უკვე შეიმჩნევა საქართველოს ცხოვრებაში და განაცხადა, რომ „აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობის წანამძღვრები უკვე შექმნილია“.

შეხვედრის დასასრულს, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა შევარდნაძემ და გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ნორბერტ ბაასმა გამოთქვეს იმედი, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა უფრო აქტიურად და დინამიკურად განვითარდება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

„საქართველოს მონაწილეობა და მისი ერთგვარად გამორჩეული ადგილი მოსკოვის ღონისძიებებში იმ როლის ადეკვატურია, რომელიც ჩვენმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომში შეასრულა“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავისი ტრადიციული რადიოინტერვიუ, რომელსაც ჟურნალისტი **ნატო ონიანი** უძღვებოდა, როგორც წესი, ეკონომიკური მიმოხილვით დაიწყო.

— ამ ბოლო დღეებში, განსაკუთრებით ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ფონზე, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა, რომ მთელ პლანეტაზე მშვიდობისა და თანაცხოვრების დემოკრატიული საყრდენი, უწინარესად, საბაზრო ეკონომიკაა. მისი ელემენტების თანამიმდევრული დანერგვა საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველოს ინტეგრაციის მთავარი საფუძველი ხდება. საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციათა მაღალი დონის მისიათა ვიზიტები, მათ მიერ ფინანსური სტაბილიზაციისა და სისტემური გარდაქმნების ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის მსვლელობის ანალიზი ნათლად ადასტურებს, რომ ამ გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ხელშესახებია აღიარებული სპეციალისტებისთვისაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობას ამ მიღწევათა შორის ყველაზე არსებითად მაინც კუპონის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი განმტკიცება მიაჩნია. 1995 წლის იანვრიდან ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი ამერიკული დოლარის მიმართ უცვლელია: 1 დოლარი სტაბილურად 1.300.000 კუპონი ღირს.

ახლა იმათ საყურადღებოდ, ვისაც მიაჩნია, რომ ეს ბლეფია, მოჩვენებითი განმტკიცებაა. ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ოფიციალურ და ბაზარზე მოქმედ კურსებს შორის მხოლოდ 4,5 პროცენტით განისაზღვრება, მაშინ, როცა შარშან ეს სხვაობა 60 პროცენტის დონეზე იყო. ამ ფონზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ეკონომიკის ყოფილი მინისტრის ბატონ მიხეილ ჯიბუტის სტატია კუპონის კურსის თაობაზე, ალბათ, უფრო საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციის მცდელობაა, — მე ასე მიმაჩნია, — ან თავად არის დეზორიენტირებული. განსაკუთრებით მიუღებელია განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დადებულ არც ერთ პირობას არ ასრულებს. ბატონ კამდესიუს ვიზიტის დროს და ამჟამადაც, როცა ფონდის მისია საქართველოში იმყოფება, საზოგადოებრიობას ჰქონდა და აქვს შესაძლებლობა საწინააღმდეგო მოსაზრებაში დარწმუნდეს. ცხადია, მეტად სერიოზული სიძნელეები არის, მაგრამ სტაბილიზაციის ღონისძიებები უპირატესად სრულდება. ამ პრობლემებსა და პროცესებთან დაკავშირებით საჭიროა საზოგადოებრიობას უფრო ვრცლად და არგუმენტირებულად ესაუბრონ ეკონომიკური რეფორმების სამთავრობო კომისია, ეროვნული ბანკი, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები. ხალხმა უნდა იცოდეს ნაკლოვანებებიც და ამავე დროს უნდა ვაჩვენოთ თუნდაც მცირე, მაგრამ უკვე რეალურად მიღწეული დამაიმედებელი შედეგები.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ხელისუფლებიდან გაქცეული ხალხის შესახებ. მე ასე ვიტყოდი: ეს კარგი ხალხია. ბატონ ჯიბუტს დიდ პატივს ვცემდი და მინდოდა იგი მთავრობაში დარჩენილიყო, მან არ მოისურვა და წავიდა. მერე, ორი-სამი თვის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თურმე ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა, ხელისუფლებაში ღირსეული ხალხი რომ ყოფილიყო. დარჩენილიყავით იქ და გემუშავათ, ერთად გადაგვეწყვიტა ძნელად გადასაჭრელი საკითხები.

რაც შეეხება წინა კვირის კონკრეტულ ვითარებას, ეროვნული ბანკის ცნობით იგი ასე ხასიათდება: ოთხშაბათს ბანკთაშორის სავალუტო ვაჭრობაში უკვე 19 კომერციული ბანკი მონაწილეობდა (კარგია, რომ მათი რიცხვი გაიზარდა). გაიყიდა 580 ათასი ამერიკული დოლარი, კურსი იგივეა: 1 ამერიკული დოლარი — მილიონ 300 ათასი კუპონი. რუსულ რუბლზე გარიგების მოცულობამ 280 მილიონი შეადგინა. მიწოდების აშკარა სიდიდის გამო კურსი სწრაფად დავარდა და ვაჭრობის დახურვის მომენტში 230 კუპონი შეადგინა.

პარასკევს გამართულ საბირჟო ვაჭრობაზე დოლარზე მოთხოვნამ 600 ათასი დოლარი შეადგინა. კურსი იგივე დარჩა. რუსულ რუბლზე მოთხოვნა 35 მილიონი იყო. შეფარდება — 1 რუსული რუბლი — 231 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძის 15 მაისის რადიოინტერვიუ

საგადასახადო ინსპექციის მცდელობის გააქტიურების მიუხედავად, ჯერჯერობით საგადასახადო საბიუჯეტო სისტემა მაინც რჩება მნიშვნელოვან საკითხად. ამიტომ ყურადღების შენელება არ შეიძლება. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ჩარიცხვის დავალებები გადაჭარბებით სრულდება. შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში ამ საქმეს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულები, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ ამ საკითხზე. აქ გადაჭარბებამ შესაბამისად 45 და 102 მილიარდი კუპონი შეადგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ჩარიცხვა კვლავ სერიოზულად ჩამორჩება კახეთში —4 თვეში გეგმა — 37 პროცენტით შესრულდა, აჭარაში — 58 პროცენტით (ცოტა გაუგებარია, რატომ უნდა იყოს აჭარაში ასე, შევეცდები დღეს გავერკვე). სერიოზულად უნდა გაამძლიერონ ყურადღება ამ საკითხზე იმერეთის მხარეში, სადაც მაჩვენებელი 79 პროცენტია, ქალაქ თბილისში — 78 პროცენტი და სხვა რეგიონებში.

კვლავ დანაშაულებრივი შეფერხებებია რესპუბლიკურ ბიუჯეტში სათანადო თანხების შეტანის თვალსაზრისით. დიდი დავალიანებები ერიცხებათ ქუთაისის წისქვილკომბინატს — თითქმის 2 ტრილიონი კუპონი (ვთხოვე ბატონ თემურ შაშიაშვილს პირადად განიხილოს ეს საკითხი). ქუთაისის პურის მიმღებ საწარმოს — თითქმის ნახევარი ტრილიონი კუპონი, გორის პურპროდუქტების კომბინატს — 1 ტრილიონი კუპონი, ფოთის წისქვილკომბინატს — თითქმის ტრილიონი კუპონი.

პირველიდან ათ მაისამდე საგადასახადო ორგანოებმა შეამოწმეს 95 ორგანიზაცია, სადაც სხვადასხვა დარღვევებისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულმა თანხამ თითქმის 4 ტრილიონი კუპონი შეადგინა, ეს გაყინული თანხები, უფრო სწორად, სხვა მიზნით გამოყენებული თანხები, სახელმწიფოს ბიუჯეტში ძალდატანებით შემოვიდა. ბიუჯეტის კუთვნილი თანხები დამალული და შემცირებული ჰქონდათ რკინიგზის დეპარტამენტს (ამას ბატონ რემი ვაშაკიძის საყურადღებოდ ვამბობ), სასტუმრო „აჭარას“, გაერთიანება „საქსპეცმონტაჟს“, გაერთიანება „თბილტრანსს“, ზესტაფონის პურის მიმღებ საწარმოს და ზოგიერთ სხვას. ამასთან, საგადასახადო საქმიანობის სრულყოფა არ შეიძლება მხოლოდ სანქციებით უზრუნველყოთ. საჭიროა კანონმდებლობის, ნორმატიული აქტების შემდგომი დახვეწა, უფრო მოქნილი და ეფექტიანი ფისკალური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უდავოდ შეუწყობს ხელს, როგორც ბიუჯეტის შევსებას, ისე მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებას. აქ ბევრი პრობლემაა დაგროვილი და მინდა მივმართო მინისტრთა კაბინეტს, რომ შესაბამისი ნორმატიული აქტები პარლამენტისათვის სწრაფად მომზადდეს.

სტაბილიზაციის პროცესის განვითარება თავს იჩენს ეკონომიკის კონკრეტული დარგების მეტ-ნაკლებად შესამჩნევი გამოცოცხლებით, გასულ კვირას უკვე გვქონდა საუბარი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შესახებ. მაისში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამყარდა. ბატონმა კერესელიძემ აღნიშნა, რომ მაისში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამ შეიძლება 6 ტრილიონ კუპონს მიაღწიოს. ეს უკვე სერიოზული ძვრაა და ძალიან დიდი განსხვავებაა იმასთან შედარებით, რაც გასულ წელს ხდებოდა.

კარგი პერსპექტივა იქმნება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებშიც. გაცილებით მეტია მოხნული და დათესილი. დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენმა მეგობრებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ქვეყანაში შემოზიდულია 100 ტონაზე მეტი ბოსტნეულის თესლი, რაც არა მარტო წლეულს, არამედ გაისადაც გვაძლევს უზრუნველყოფის გარანტიას. ამავე დროს მოსახლეობამ იცის, რომ უსახსრობის გამო სოფელი დიდ სიძნელეებს განიცდის მატერიალური რესურსებით, უწინარესად, ნავთობპროდუქტებით მომარაგებაში, თუმცა, ამ ბოლო დროს, მინისტრთა კაბინეტმა, ბატონმა ოთარ ფაცაციამ მიიღეს საგანგებო ზომები. ჩაის რაიონებს ახლა ეძლევათ გარკვეული რაოდენობის მაზუთი, სხვა საწვავი, შეტანილია 1.500 ტონა ბენზინი. მინდა მოვთხოვო მინისტრთა კაბინეტს, რომ სოფლისათვის დახმარების ასეთი საგანგებო ხასიათი არავითარ შემთხვევაში არ დაიკარგოს, მინისტრთა კაბინეტი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს სოფლის პრობლემებზე, რა თქმა უნდა, იმ გარანტიით, რომ დღეს გაწეული ხარჯები აუცილებლად იქნება ანაზღაურებული მოსავლის მოწევის შემდეგ.

ერთ-ერთ უმწვავეს და ყველაზე აქტუალურ პრობლემად საქართველოს ეკონომიკისათვის კვლავ რჩება ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის ამოცანა. როგორც მოგეხსენებათ, 13 მაისს სახელმწიფოს მეთაურთან გამარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის ელჩი

15 მაისს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

საუბარი შეეხო გენერალ შალიკაშვილის მომავალ ვიზიტს საქართველოში. ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ გენერალი შალიკაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში ჩამოსვლას და რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.

სახელმწიფოს მეთაურმა ელჩს გაუზიარა მოსკოვში ფაშიზმზე გამარჯვების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებების შთაბეჭდილებები, კერძოდ, აღნიშნა, რომ პრეზიდენტ კლინტონის მხრიდან მოსკოვში ჩამოსვლა ბრძნული გადაწყვეტილება იყო, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ დასავლეთი არ ცდილობს რუსეთის იზოლაციას და, პირიქით, მზად არის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის.

შეხვედრაზე აგრეთვე განხილული იქნა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივა და ამასთან დაკავშირებული გაეროს ბოლო რეზოლუცია.

ეძებენ აფხაზეთში დაკარგულ მებრძოლებს

რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ავთანდილ მარგიანმა ჩაატარა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მორიგი თათბირი. დამტკიცებული იქნა კომისიის დებულება.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ძებნის საქართველოს ფონდის ინფორმაცია საქველმოქმედო ფონდის შექმნის თაობაზე.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საინფორმაციო საშუალებებს არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებითი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

თათბირი ენერგეტიკის საკითხებზე

13 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ენერგეტიკის საკითხებს.

მოწვეულნი იყვნენ ამ დარგის ხელმძღვანელები, მინისტრები, სპეციალისტები, უწყებათა ხელმძღვანელები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ო. ფაცაციამ, ვიცე-პრემიერმა თ. ბასილიამ, თბილისის მერმა ნ. ლეკიშვილმა. თათბირზე დეტალურად გაანალიზდა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შექმნილი ვითარება. განსაკუთრებული ყურადღებით განხილულ იქნა რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება. ითქვა, რომ ზამთრისათვის მომზადების პროცესი ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. შესაბამისმა სამსახურებმა მოამზადეს ჰიდროელექტროსადგურების სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების პროგრამა, რომელიც წარდგენილია რესპუბლიკის მთავრობაში. დიდი ყურადღება ეთმობა ენერგოობიექტების საწვავით, სხვა რესურსებით მომარაგების საკითხებს.

განსაკუთრებით აღინიშნა ის დადებითი ძვრები, რაც მიღწეულია ენერგოობიექტების სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის საქმეში. პრაქტიკულად აღარ აქვს ადგილი დივერსიებისა და თავდასხმების ფაქტებს, სულ უფრო აქტიური ხდება უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტები. უახლოეს დროს მოსალოდნელია გერმანიის ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის, ევრობანკის მაღალი რანგის ექსპერტების ვიზიტები საქართველოში, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისათვის აუცილებელი საკრედიტო რესურსების გამოყოფის დაჩქარებას.

განსაკუთრებული სიმწვავით ისაუბრეს დარგში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, აღინიშნა, რომ მომხმარებლების მიერ თანხების გადაუხდელობის გამო ენერგოსისტემაში საერთო დავალიანებამ 130 ტრილიონ კუპონს მიაღწია. ამიტომ გამომსვლელთა აზრით, აუცილებელია შემდგომში გადახდისუნარიანი ყველა მომხმარებლის მიმართ საქენერგოს მიერ გამოყენებულ იქნეს მკაცრი სანქციები.

თათბირზე გამოითქვა ბევრი კონსტრუქციული წინადადება, შესაბამისი დავალებები მიეცათ სათანადო ორგანოების ხელმძღვანელებს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ ენერგეტიკაში სერიოზულ ძვრებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უფრო სწრაფი ტემპებით განხორციელდეს ზამთრის პერიოდისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ყოველდღიურ კონტროლზე უნდა აიყვანოს ეს პროცესი. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

საჭიროა გულდასმით იქნეს შესწავლილი მცირე ჰესების მშენებლობის საკითხი, რათა ამ საქმეში არ იყოს დაშვებული არაკომპეტენტურობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა სახელმწიფოს მეთაურმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და, უწინარეს ყოვლისა, ტელევიზიის როლს საზოგადოებრივი აზრის სწორ ფორმირებაში. საჭიროა, აღნიშნა მან, მეტი ობიექტურობა, მოსახლეობის უფრო სწორი ორიენტაცია, მეტი ყურადღების მიქცევა იმ სასიკეთო ძვრების მიმართ, რაც ამჟამად შეინიშნება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყანა მომზადებული შეხვდეს შემოდგომა-ზამთრის პერიოდს და ენერგეტიკის დარგი კიდევ უფრო აქტიურად განვითარდეს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო — საქინფორმი.

ევროპის მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლები თბილისში

13 მაისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის კომიტეტის წევრები კომიტეტის გენერალური მდივნის ან დე ბერის ხელმძღვანელობით. კომიტეტის წევრები მონაწილეობენ ამიერკავკასიის ქვეყნების, რუსეთისა და უკრაინის ერთობლივ სემინარში, რომლის თემაა „ბირთვული ენერგიის გამოყენება და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოება, რადიაციული ვითარება ამიერკავკასიის რეგიონში“.

საუბარი შეეხო როგორც თვით რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, აგრეთვე საქართველოს დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან და ევროკავშირთან.

აღინიშნა, რომ საქართველო სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული სტაბილურობით ამიერკავკასიის რეგიონში და რუსეთში, ვინაიდან რუსეთის არასტაბილურობა ნიშნავს არასტაბილურ ევროპასა და კავკასიას. გარდა ამისა, რუსეთთან ურთიერთობის გარეშე საქართველოს ეკონომიკას დიდი სიძნელეები ელის. რომ არა ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს დახმარება, საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამჟამად მზადდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორული ხელშეკრულება; მეტად მჭიდრო კავშირია საპარლამენტო სტრუქტურებს შორისაც.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ იჩენენ საჭირო ქმედუნარიანობას კონფლიქტების მომზადების საქმეში. მხოლოდ რეზოლუციების მიღება და მეთვალყურის როლში ყოფნა ვერ წყვეტს არსებულ პრობლემებს. ეს კი მეტყველებს ამ ორგანიზაციების რეფორმების აუცილებლობაზე: მათ უნდა ჰქონდეთ რეალური ძალა კონფლიქტების მოსაგვარებლად; უნდა არსებობდეს საერთაშორისო ტრიბუნალები, რათა ყველამ იცოდეს, რომ დამნაშავე საკადრისად დაისჯება.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფოს მეთაურს და გამოთქვეს რწმენა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო

დამთავრდა ნგრევა და ქაოსი, საქართველოში შენება იწყება

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონი — ამ სახელწოდებით გაერთიანდა დასავლეთ საქართველოს 4 მთიანი რაიონი — ამბროლაური, ონი, ცაგერი და ლენტეხი. ცენტრალურ ხელისუფლებასთან რეგიონის უფრო მოქნილი ურთიერთობის, მეტი კოორდინაციის, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ამ რეგიონში შეიქმნა სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტი.

— ახალგაზრდა, მაგრამ ჩვენი საზოგადოებისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი კაცი, ენერგიული, განათლებული, კულტურული პიროვნება, რომელმაც დაამტკიცა, რომ შეუძლია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა — ასეთი დახასიათებით წარუდგინა 14 მაისს ამბროლაურში შეკრებილ რეგიონის საზოგადოებრიობას ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 27 წლის თედო ისაკაძე — რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის უაღრესად პასუხსაგებ პოსტზე ყველაზე უფრო შესაფერისად მიჩნეული კანდიდატურა.

გადაწყვეტილებას რეგიონში რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღების შესახებ კმაყოფილებით შეხვდა როგორც რაიონების ხელმძღვანელობა, ასევე მოსახლეობაც, რომელიც მოზღვავებული პრობლემების გადაწყვეტის იმედს სწორედ რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან უფრო მჭიდრო კავშირსა და

(დასასრული მე-2 გვ.).

წინასაყრილობო ინტერვიუ

მწერლის უიმედობა არ შეიძლება!

როგორც ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, ხვალ, 17 მაისს, იხსნება საქართველოს მწერალთა კავშირის მეთორმეტე ყრილობა. ქვეყნის შემოქმედებით ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, გამოჩენილ მწერალსა და პუბლიცისტს გურამ ფანჯიკიძეს და გაესაუბრა მას.

— ბატონო გურამ! როგორი იმედებით ხვდება ქართული მწერლობა თავის მორიგ XII (XIX) ყრილობას?

— კაცმა რომ თქვას, ყველა საფუძველი გვაქვს იმისა, რომ უიმედოდ ვიყოთ, მაგრამ მწერლის უიმედობა არ შეიძლება. მწერალი თვითონ უნდა იყოს ყველასათვის იმედის მიმცემი. ისიც უნდა დავძინო, საქმე ნელა, მაგრამ მაინც მიდის წინ. თუ შარშან ჩვენი ჟურნალების მხოლოდ თითო ნომერი გამოვიდა, წელს, როგორც მინიმუმი, ექვს-ექვსი ნომრის გამოცემა გარანტირებულია. ასევე ეჭვს არ იწვევს „ლიტერატურული საქართველოს“ შეუფერხებელი მუშაობა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გამომცემლობა „მერანშიც“. სულ მალე იქ მუშაობას დაიწყებს პატარა სტამბა, სადაც იოლად გამოიცემა მცირეტირაჟიანი წიგნები. წელსვე დავამთავრებთ მწერალთა კავშირის სასახლის ბეტონის ბალიშზე „დაჯენას“, რითაც მოსალოდნელი დანგრევისაგან ვიხსნით ამ უნიკალურ არქიტექტურულ და ისტორიულ შენობას. კარგად მუშაობენ აჭარისა და ქუთაისის განყოფილებები. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელობას ძალზე ახლოს მიაქვს გულთან მწერლობისა და კულტურის საქმე.

— თქვენ? თქვენ როგორ გეხმარებიან?

— სახელმწიფოს მეთაურსა და ორიოდე კაცს გარდა არავის აინტერესებს ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ხელოვნების ბედი. რუსეთში, უკრაინაში და თითქმის ყველა რესპუბლიკაში ხელოვნება და მწერლობა განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. აქ კი იგივე კანონი პარლამენტმა არ დაამტკიცა. რაც მთავარია, მათ მსჯელობაში იგრძნობოდა და ახლაც იგრძნობა ცინიზმი და გაღიზიანება კულტურის მიმართ. ის დამოკიდებულება, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა „ააგორა“ ქართული მწერლობისა და ხელოვნების საწინააღმდეგოდ, დღესაც საკმაოდ ძლიერია. მწერლური ორგანიზაციების გადასახადებისაგან განთავისუფლებას ვინ დაეძებს, სპონსორები რომ რაღაც თანხას გადმოგვირიცხავენ, იქიდანაც კი სახელმწიფოს 40 პროცენტი მიაქვს. მწერლობამ და ხელოვნებამ თავი თვითონვე უნდა შეინახოსო, ასეა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშიო (რა ეშველებოდათ, ეს გამოთქმა რომ არ არსებობდეს), იძახიან და ერთხელაც არ დაინტერესებულან შეესწავლათ, მართლა როგორ არის საქმე ცივილიზებულ ქვეყნებში. ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე წერილი გერმანიის მწერალთა კავშირის სტრუქტურასა და სახელმწიფოსთან ურთიერთობაზე. ვერ წამოიდგენთ როგორ ტყუპის ცალივით ჰგავს მათი სტრუქტურა ჩვენსას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გერმანიის მწერალთა კავშირს დიდ დახმარებას უწევს მთავრობაც და სხვა ორგანიზაციებიც. მაგალითად, 1994 წელს მხოლოდ ხანდაზმული და პენსიონერი მწერლებისათვის გერმანიის მთავრობამ გამოყო 20 მილიონი მარკა. საერთოდ კი თითოეული გერმანელი მწერლის წლიური საშუალო დახმარებაა 30 ათასი მარკა. იქნებ ვინმემ თქვას, გერმანია ცივილიზებული ქვეყანა არ არისო?! და საერთოდ, ვერცერთ ქვეყანაში მწერლობა და ხელოვნება თავს ვერ ინახავს, არსებობს ათასგვარი საშუალებები და მეთოდები, რომ არ დაქვეითდეს ქვეყნის კულტურული ცხოვრება.

მწერლობა და ხელოვნება არარენტაბელურ დარგებადაა მიჩნეული. ჯერ ერთი, ვინ შეაფასა ხელოვნების ნიმუშები? ვინ დაადო მას ნამდვილი ფასი? მეორეც, ერს სჭირდება სულიერი და ფიზიკური გადარჩენა. თუ ჩვენ მისი ფიზიკური გადარჩენისათვის ვქმნით არმიას, რომლის შენახვა ფანტასტიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რატომ მწერლობა და ხელოვნება არ უნდა შევინახოთ — რომელმაც ერის სული უნდა გადაარჩინოს და წარმოაჩინოს? განა საქართველოში უკვე არ იგრძნობა ის საშინელი შედეგები, რაც მწერლობისა და ხელოვნებისადმი გულცივ დამოკიდებულებას მოჰყვა? განა არ იცვლება სულიერი ორიენტირები? განა უკანა პლანზე არ გადადის მშვენიერების აღქმა, პატიოსნება, მორალური პოზიციები?! განა მთელი საქართველო არ შეიპყრო ფულის შოვნის (თანაც ნებისმიერი მეთოდით) ციებ-ცხელებამ? განა ისეთი პატარა ერი, ქართველი ერი რომ არის, გაუძლებს ინტელექტუალური დეგრადაციის დღევანდელ ტემპს?! თანაც რატომღაც ავიწყდებათ, რომ ქართული მწერლობა, ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, კინო, მხატვრობა, მუსიკა მწერლებს და ხელოვნების წარმომადგენლებს კი არა, პირველ რიგში ხალხს ეკუთვნის. ეს ის საზრდოა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის, მით უმეტეს, ახალგაზრდის სულის ჰარმონიული ჩამოყალიბება.

— ნათქვამია, როცა ქვემეხები მქუხან, მუზები სდუმანო!

— ვერ დაგეთანხმებით. სწორედ ქვემეხების ქუხილის დროს გამოამჟღავნა ქართულმა მწერლობამ თავისი შეურიგებელი პოზიცია უკეთურობის მიმართ. ურყევი და ჭეშმარიტად ეროვნულია ეს პოზიცია. ქართველი მწერლების დამოკიდებულებები საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ კარგად აისახა მათ შემოქმედებაში. დაიწერა ბევრი ძალზე მნიშვნელოვანი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოები, უამრავი მძაფრი პუბლიცისტური წერილი. სამწუხაროდ, ჟურნალ-გაზეთების ძალზე მცირე ტირაჟის გამო მკითხველისათვის ბევრი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები უცნობი რჩება.

— რაიმე სტრუქტურული ცვლილებები თუ მოსალოდნელი საქართველოს მწერალთა კავშირის ცხოვრებაში?

— რასაკვირველია, მოხდება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. ეს თვით დღევანდელმა ცხოვრებამ განაპირობა. ვფიქრობ, მასზე საუბარი მკითხველს მაინც და მაინც არ დააინტერესებს.

„საქართველოს მონაწილეობა და მისი ერთგვარად გამორჩეული ადგილი მოსკოვის ღონისძიებებში იმ როლის ადეკვატურია, რომელიც ჩვენმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომში შეასრულა“

(დასასრული)

თულ თათბირზე აღინიშნა, რომ ენერგეტიკული კომპლექსის ზამთრისათვის მზადება ჭირჭირობით დამაკმაყოფილებელი არ არის. ძირითადად ეს ფინანსური სიძნელეებითაა გამოწვეული. პრაქტიკულად, „საქენერგო“ გაკოტრებული ორგანიზაციაა და სწორედ საგანგებო ზომებია საჭირო, რათა იგი ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ. ამასთან, გამოითქვა რწმენა, რომ უახლოეს კვირეებში გადაწყდება ფინანსური დახმარების საკითხი — პირველ ეტაპზე ჩვენი რესურსებიდან, გარდა ამისა, ამ ერთი თვის — თვენახევრის განმავლობაში კი მივიღებთ გერმანულ დახმარებას — 18-20 მილიონ გერმანულ მარკას. ასევე ევროპული ბანკის კრედიტს. გვეხმარებიან ამერიკელები, ფრანგები და სხვები. მთავარია, ეს ყველაფერი დროულად მოხდეს და ზამთარს მომზადებული შევხვდეთ. თათბირზე განისაზღვრა კონკრეტული დავალებები სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის. პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი ელექტროსიმძლავრეებისა და ელექტროენერგიის მოხმარების ლიმიტების დაცვაზე, ასევე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაზე გადატანილია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობაზე. მივმართავ ყველა გამგებელს, ყველა რწმუნებულს, რომ ამ საკითხს მათ ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ.

ძალიან მნიშვნელოვანია ის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს „საქენერგოს“ ადგილობრივი ქსელების გადაცემას ქალაქებისა და რაიონების ბალანსზე. ამან გარკვეული შედეგები თბილისში უკვე მოგვცა. ვფიქრობ, რომ სხვა რეგიონებშიც შედეგებს სწრაფად მივიღებთ. მინისტრთა კაბინეტს დაევალა სასწრაფოდ განიხილოს და გადაწყვიტოს ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა თბოელექტროსადგურის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობა (ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს), საზამთროდ სათბობის დაგროვება და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უშიშროების სამსახურთან ერთად უნდა გააძლიეროს მუშაობა დამნაშავეობის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ აღიკვეთოს ელექტროხაზებისა და სხვა მოწყობილობის ქურდობა. ამაზე უნდა დამთავრდეს საქართველოში ლაპარაკი! ეს საშინელი, სამარცხვინო და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. უნდა გამოიკვეთოს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.

გუშინდელი საგანგებო შემთხვევაც, ძირითადად, იმასთან არის დაკავშირებული, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები მოუწესრიგებელია. ბევრი მოიპარეს. ბევრი დააზიანეს. განსაკუთრებით არასტაბილური ვითარებაა ეგრეთ წოდებულ „იმერეთის“ ხაზზე, სწორედ ამან გამოიწვია გუშინდელი საგანგებო შემთხვევა. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ზაფხულის განმავლობაში ხაზები მოწესრიგდეს, ამისათვის თანხებიც უნდა გამოიძებნოს. ხეხზე, ყოველგვარ დათმობაზე უნდა წავიდეთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეს სისტემა გაიმართოს.

— გუშინ საქართველოს კიდევ ერთი ახალი ადმინისტრაციული მხარე შემატა — რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის. მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულად დაინიშნა თედო ისაკაძე. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურად ეს ყველაზე რთული რეგიონია საქართველოში. თქვენ შეხვდით ამბროლაურის მოსახლეობას, მოისმინეთ მათი პრეტენზიები. რთული სიტუაციაა სხვა რაიონებშიც, მოსახლეობასთან საუბარში გამოჩნდა, რომ სულ რამდენიმე ხელმძღვანელი, თანამდებობის პირი თუ ჩადის იქ და კითხულობს მათ ამბავს. ადამიანები უფრო მეტად გაღიზიანებული არიან არა იმით, რომ ხელისუფლება რაღაცას ვერ აკეთებს, არამედ იმით, რომ საქართველოს ეს მთიანი მხარე უყურადღებოდ არის მიტოვებული...

— გუშინ ამბროლაურში და, საერთოდ, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში განსაკუთრებული დღე იყო: დაინიშნა ამ მხარის სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული, ახალგაზრდა კაცი, რესპუბლიკაში ცნობილი მოღვაწე, ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელი თედო ისაკაძე, რომელზეც ყველანი ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ. მოხარული ვარ, რომ მოსახლეობამ იგი ძალიან კარგად მიიღო. ცოტა არაორდინალურად გაიმართა ეს ღონისძიება. მასში მონაწილეობდნენ ამ კუთხის ცნობილი შვილები, რომლებიც დღეს საქართველოში აღიარებული მოღვაწეები არიან — ბატონები გურამ ფანჯიკიძე, რეზო ჭაფარიძე, მურმან ლებანიძე. ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ეს გამოჩენილი წარმომადგენლები ჩვენთან ერთად წყვეტდნენ ამ საკითხს. მნიშვნელოვანი იყო, რომ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქალაქ თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, ბატონი თემურ შაშიაშვილი, სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესებული არიან რეგიონის კეთილდღეობით.

ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ასეთი შენიშვნა.

სამხარეო მოწყობის, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ არც ერთ კუთხეში არ შეიქმნას ხელმძღვანელობის ვაკუუმი. ასეთმა ვაკუუმმა ჩვენ ძალიან დიდი ტკივილები და უსიამოვნება მოგვიტანა თითქმის ყველა კუთხეში. ამ მხრივ ჩანაფიქრი უდავოდ სწორია. უკვე იგრძნობა რწმუნებულთა აქტიური ზეგავლენა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე — ეკონომიკაზე, წესრიგზე, ფინანსებზე, რაიონებსა და მხარეებს შორის კოოპერირების, კოორდინაციის გაუმჯობესებაზე. ისინი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ როგორც ცენტრისა და ადგილობრივი სტრუქტურების დამაკავშირებელი რგოლები.

ამ პრობლემების აქტუალურობა მთელი სიცხადით შევიგრძენით გუშინ ამბროლაურში. კატეგორიულად არასწორია შეხედულება ამ მხარის უპერსპექტივობის შესახებ. სამწუხაროდ, ბევრი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელს მიაჩნია ასე. უნდა განვაცხადო, რომ ეს უაღრესად პერსპექტიული რეგიონია, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, კერძოდ, მაღალხარისხოვანი დარიშხანით, ბარიტით, უნიკალური მოსაპირკეთებელი ქვებით, საშენი ქვებით, დიდი და განსაკუთრებით მცირე მდინარეების ჰიდრორესურსების უდიდესი პოტენციალით, საუკეთესო საძოვრებით და მრავალი სხვა. განსაკუთრებით იმედის მომცემია ხალხის განწყობილება, რომელმაც მიწისძვრით გამოწვეული უმძიმესი, კატასტროფული შედეგებისა და დიდი სიდუხჭირის მიუხედავად არ მიატოვა მშობლიური კუთხე. ახლა განვითარების საკმაოდ კარგი გეგმები დაისახა ამ ერთი თვის განმავლობაში. ვფიქრობ, მომზადდება სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებით და იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც ჩვენ ვილაპარაკეთ ამბროლაურში. შევეცდებით, რომ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი და რესურსები ავამოქმედოთ მხარის გამოსაცოცხლებლად და მხარდასაჭერად. მჯერა, რომ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი უახლოეს წლებში ბევრს გააკვირვებს მიღწეული გარდაქმნების მასშტაბით.

სამინისტროები და უწყებები, რა თქმა უნდა, სათანადო შეფასებასა და მწვავე კრიტიკას მიიღებენ, სამხარეო ადმინისტრაციის ინსტიტუტი მოგვცემს საშუალებას, რომ ბევრი რამ არაეფექტიანი ცენტრშიც და ადგილებზეც გავაუქმოთ, აღმოვფხვრათ პარალელიზმი და ავამაღლოთ ქვეყნის განვითარების სახელმწიფო უზრუნველყოფის დონე.

— გასულ კვირას თქვენ მოსკოვში მონაწილეობდით 9 მაისთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. ალბათ, უნდა გამოვყოთ რამდენიმე მომენტი: მეორე მსოფლიო ომის შედეგები ცივილიზებულმა მსოფლიომ, იმ ქვეყნებმა, რომლებიც, ფაქტობრივად, დღეს მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავენ, ერთგვაროვნად შეაფასეს; თქვენი გამოსვლა, რომელშიც რუსეთის როლისა და ადგილის ახლებური გააზრება იყო მოცემული, კლინტონ-ელცინის შეხვედრა; დაბოლოს: მიუხედავად ჩეჩნეთის საქმეების საკმაოდ მკაცრი შეფასებისა, კლინტონიც, მეიჯორიც, კოლიც, სხვებიც რუსეთში ჩავიდნენ...

— საქართველოს მონაწილეობა და, ასე ვთქვათ, ერთგვარი გამორჩეული ადგილი მოსკოვის ღონისძიებებში, ვფიქრობ, იმ როლის ადეკვატურია, რომელიც ჩვენმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომში შეასრულა. ის, რაც მოსკოვში ვნახეთ, მართლაც გრანდიოზული მოვლენა იყო. თითქმის ყველა ქვეყანა მონაწილეობდა, ვინც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. მგონია, მოვიდა დრო ბოლო მოეღოს ყოველგვარ აგდებულ დამოკიდებულებას ომის ვეტერანებისადმი, იმ ხალხისადმი, ვინც ფაშიზმზე გამარჯვება უზრუნველყო. ზოგიერთ ჩვენს პერიოდულ გამოცემაში შევნიშნე რამდენიმე გამოსვლა: ეს ჩვენი ომი არ ყოფილა, ეს ჩვენ არ გაგვიმარჯვია, გაიმარჯვა დასავლეთმა, მოგვარდა, გადაწყდა დასავლეთის ინტერესები და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან პრიმიტიულია. ის, რომ მოსკოვში შეიკრიბა მთელი პოლიტიკური ელიტა და არა მარტო პოლიტიკური ელიტა, ღირსეული მიაგეს იმ წვლილს, რომელიც შეიტანა მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა, მათ შორის, საქართველომაც, და განსაკუთრებით რუსეთმა, ვფიქრობ, ბევრისთვის გაკვეთილი უნდა იყოს. საქართველომ ამ ღონისძიებებზე თქვა თავისი სიტყვა. მოსკოვში წარმოთქმული ზოგიერთი დებულება შემთხვევით არ აღმოჩნდა მსოფლიოს პოლიტიკოსთა და საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში..

ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ რუსეთი, ისე როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, და არა მარტო მეორე მსოფლიო ომის დროს, არამედ ცივი ომის დამთავრების პროცესშიც, საკვანძო ქვეყანა იყო და ასეთად რჩება დღესაც. ეს მთავარია.

მოსკოვში ლიდერების შეხვედრამ (დიდ უბედურებად არ მიმაჩნია, რომ იქ ერთი-ორი საკითხი დარჩა გაურკვეველი), დაადასტურა, რომ მათ შეუძლიათ ანტიჰიტლერული კოალიციის დროს და ცივი ომის დაძლევისათვის ბრძოლებში დაგროვილი საუკეთესო ტრადიციების მემკვიდრენი იყვნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და იმედის მომცემი დასკვნაა, რომელიც საქართველოსთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს.

მოსკოვიდან საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებითა და გარკვეული ოპტიმისტური განწყობილებითაც დავბრუნდი. ამის საფუძველს მაძლევს კონტაქტები რუსეთის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, თითქმის ყველა იმ უწყების ხელმძღვანელებთან, რომლებთანაც ახლა ჩვენ ვართ დაკავშირებული, შეხვედრები დასავლეთის თუ სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან, მათ ლიდერებთან და ასე შემდეგ.

არ შემიძლია არ ვთქვა პოკლონაია გორას კომპლექსის სიდიადეზე. მინდა გამოვხატო სიხარული ზურაბ წერეთლის, მგონია, არ არის გადაჭარბებული, თუ ვიტყვი — დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილი მონუმენტალისტის — დიდი გამარჯვებით. როგორც ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა აღნიშნა გუშინ, ამ უნიკალური ძეგლის მშენებლობაში დიდია თბილისელი მშენებლების, მემონტაჟეებისა და სპეციალისტების წვლილი.

— გასულ კვირას საფრანგეთში საბოლოოდ გაირკვა არჩევნების შედეგები. სოციალისტების თოთხმეტწლიანი მმართველობა შეცვალა ახალმა პრეზიდენტმა, პარიზის ყოფილმა მერმა ჟაკ შირაკმა. ხომ არ შეცვლის ეს რაიმეს საფრანგეთის დამოკიდებულებაში ჩვენი ქვეყნისადმი? ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ტრადიციული ხელშეკრულების გარდა საფრანგეთთან ჩვენ ისიც გვაკავშირებს, რომ იგი საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის საკმაოდ აქტიური წევრია...

— არ დაგიმალავთ, რომ გულით გავიხარე ჟაკ შირაკის არჩევის გამო. დარწმუნებული ვარ, იგი ევროპული სამშვიდობო პროცესების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ლიდერი გახდება. მე მას კარგად ვიცნობ, ყოველთვის დიდი სიმპათიებით ვიყავი გამსჭვალული და მჯერა, რომ სიტყვა, რომელსაც საფრანგეთი იტყვის ახალი ევროპის მშენებლობაში, ეს იქნება ჟაკ შირაკის — მძლავრი პოლიტიკური ფიგურის ადეკვატური, მისი შესატყვისი, რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად ჩემი ქვეყანაც მიესალმება მის არჩევას.

დამთავრდა ნგრევა და ქაოსი, საქართველოში შენება იწყება

(დასასრული)

თანამშრომლობაში ხედავს. პრობლემები კი რეგიონში მართლაც, აურაცხელია და მათი მოგვარება ერთნაირად საშურია, როგორც იქაური მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე, მთლიანად რესპუბლიკაში ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღების მიზნით. მით უმეტეს, რომ მორალული აზრი, თითქოს რეგიონი ღარიბია ბუნებრივი რესურსებით, ამბროლაურში გამართულმა შეხვედრამ მთლიანად გააბათილა. ადგილობრივი ჰიდრორესურსების მაქსიმალურად ამოქმედებით, რაც მცირე ჰესების აშენებაში, რიცეულჰესის აღდგენაში გამოიხატება, მთლიანად გადაიჭრება მხარის საკუთარი ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი, ხოლო ლაჯანურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია, რომელიც ჰესის სრული სიმძლავრით ამოქმედების პირობებში 112 მეგავატს შეადგენს, რესპუბლიკის საწარმოებსაც მოხმარდება. პერსპექტივა, განსაკუთრებით რესპუბლიკისათვის აქილევსის ქუსლად ქცეული ენერგეტიკული კრიზისის ფონზე, საკმაოდ მიმზიდველია და ახლა მას სათანადო უწყებების მეტი დაინტერესება ესაჭიროება. გარდა ამისა, რეგიონს შეუძლია დიდი რაოდენობით მიაწოდოს სოჭის თესლი, რომელიც ევროპის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს, და თუ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ხელს შეუწყობს ამ წამოწყებას, ბუნებისაგან, ნაბოძები ეს სიმდიდრე რეგიონის ბიუჯეტს რიგიან შემოსავალს მისცემს. ცალკე საკითხია ურავის უნიკალური დარიშხანის საბადო, სახნავ-სათესი მინდვრები, ტყეები, აგროვე, საძოვრები, რომლებიც სამთო მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის...

მაგრამ ეს ყოველივე, ჯერჯერობით განიხილება მხოლოდ როგორც პოტენციალი, რომლის გამოყენებასაც საქმიანი, პროფესიონალი და გულშემატკივარი ხალხი სჭირდება. მანამდე კი რეგიონის ოთხივე რაიონში კვლავაც მწვავედ დგას ისეთი პრობლემები, როგორიცაა მუშახელის დასაქმება, მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფა. უწინდელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, ტექნიკის, შხამ-ქიმიკატების ნაკლებობის გამო, მოსახლეობას უჭირს პრივატიზებული მიწების მოვლა-პატრონობა. სწორედ ამ საკითხებზე მიაპყრეს სახელმწიფოს მეთაურის, ახლადდანიშნული რწმუნებულის, თათბირის მონაწილე სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელების ყურადღება რაიონების გამგებლებმა ირაკლი ფრუიძემ, რევაზ ნოდარიშვილმა, კარლო მუჯკუდიანმა და შოთა ლიპარტელიანმა. თუმცა, სიძნელეების მიუხედავად, როგორც გამგებლების გამოსვლებიდან გამოიკვეთა, მაინც იგრძნობა სასიკეთო ტენდენციები რაიონების ცხოვრებაში. მკვეთრად გაუმჯობესდა მოსახლეობის პურით, ელექტროენერგიით მომარაგება. სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენის შედეგად, გარკვეულწილად დაირღვა საინფორმაციო ვაკუუმი დასავლეთის მთიანეთში. რაიონებში ძალისხმევას არ აკლებენ ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალის ამოქმედებას. უახლოეს მომავალში, ამუშავდება ამბროლაურის სამთო-ქიმიური კომბინატი, ონის სამკერვალო ფაბრიკა, რაც ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტს მუშახელის დასაქმების პრობლემას და რაიონებს დამატებით შემოსავალსაც მისცემს. შეძლებისდაგვარად ცდილობენ მდგომარეობა შეუმსუბუქონ მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს, რომლებიც მარტო ამბროლაურში ორასზე მეტია.

კრიმინოგენური ვითარება კვლავ საკმაოდ სერიოზულ პრობლემად რჩება, რის გამოც, ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ კრიტიკას თუ იმსახურებენ. ცაგერის გამგებლის განცხადებით, მარტო ამ ერთ რაიონში, 4 წლის განმავლობაში პოლიციის სამი უფროსი გამოიცვალა, პრობლემები კი უცვლელი დარჩა. კვლავ ხშირია ძარცვის, ყაჩაღობის და, რაც მთავარია, ნარკოტიკების შემოზიდვისა და ნარკომანიის შემთხვევები. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ქვემო სვანეთში, რომელიც, როგორც ბატონმა შოთა ლიპარტელიანმა თქვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკური ოპერაციების შემდეგ დამნაშავეთა სამყაროს თავშესაფრად იქცა. რაიონების ხელმძღვანელებმა გამოთქვეს სურვილი შეხვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრს და უშუალოდ მას სთხოვონ დახმარება ამ უაღრესად მწვავე და საშიში ტენდენციის აღმოფხვრის საქმეში.

საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა აქამდე გაწეული მუშაობა პარლამენტის წევრმა ამბროლაურის რაიონიდან სოსო მახალდიანმა. თუმცა, საბოლოო ჯამში, შეხვედრამ რეგიონის მცხოვრებთაც და ხელმძღვანელებსაც ოპტიმიზმის საფუძველი მაინც მისცა. ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ, მშენებლობისა და არქიტექტურის კომიტეტის თავმჯდომარემ გურამ მირიანაშვილმა, პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციის პრეზიდენტმა ანზორ ბურჯანაძემ, „სამთო ქიმიის“ ხელმძღვანელმა ნიკა ცხაკაიამ, ქალაქ თბილისის მერმა ნიკო ლეკიშვილმა ყველა სასიკეთო წამოწყებაში მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვეს რეგიონის მესვეურთ. შეხვედრაზე თანამემამულეებს სიტყვებით მიმართეს ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებმა მურმან ლებანიძემ, გურამ ფანჯიკიძემ და რევაზ ჭაფარიძემ.

სულგრძელობისა და მოთმინებისათვის ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გულწრფელი მადლობა გადაუხადა მოსახლეობას და განუმარტა ახალი რეგიონალური სტრუქტურის დანიშნულება.

— ყოველ ახალ წამოწყებას, — აღნიშნა მან, — სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა სჭირდება, მათ შორის, განსახელმწიფოებრიობის პროცესსაც, ამდენად, მხარეებად დაყოფის პრინციპი ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია გარდაქმნის დასაწყებად, წესრიგის დასამყარებლად, მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად.

სახელმწიფოს მეთაურმა განმარტა, რომ რწმუნებულისა და გამგებლების ინსტიტუტები პარალელური სტრუქტურები არ არის, სამხარეო ადმინისტრაცია არის ცენტრის წარმომადგენელი და ერთიანი სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი, რომელიც ასევე ესაჭიროება მომავალ პარლამენტსაც. თუ ხალხს სწორად შევარჩევთ, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მაშინ ამ ახალ ინსტიტუტს ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია, რისი აშკარა მაგალითები უკვე გვაქვს სხვა რეგიონებში.

სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა რეგიონებს შორის ახალი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობის საკონტრაქტო, სახელშეკრულებო თანამშრომლობის დამყარების აუცილებლობაზე და მიუთითა, რომ ამავე პრინციპზე უნდა აიგოს ურთიერთობა სამინისტროებთან, რომელთა ფუნქციები გარკვეულწილად შეიცვალა და რომელთა მოვალეობაა დაეხმარონ საწარმოებს პროდუქციის გასაღების ბაზრის მოძებნაში.

იმ ბუნებრივი სიმდიდრეების სრულად და რაციონალურად გამოყენების მიზნით, რომლებიც დღემდე მხოლოდ უთავბოლობისა და უყურადღებობის გამო ვერ გვაძლევს შემოსავალს, საჭიროა გამოიცეს სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური განკარგულება. რეგიონში უნდა გაიშალოს სერიოზული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, რათა ლაპარაკი ლაპარაკად არ დარჩეს და მხარემ და მასთან ერთად მთელმა ქვეყანამ მაქსიმალურად ისარგებლოს თავისი შესაძლებლობებით.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა რაიონების ხელმძღვანელებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებას, რასაც გადამწყვეტი როლი აკისრია მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, მაგალითისათვის მან დაიმოწმა დედაქალაქის გამოცდილება, რომელიც ნათლად მეტყველებს ამ პრინციპის სისწორეზე. საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს კერძო ინიციატივის გარეშე, — აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა, — იგი განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების ბედს. სწორედ მან მოგვცა რეალური ბიუჯეტის შექმნისა და მისი უზრუნველყოფის საშუალება.

განსაკუთრებული გულისხმიერებით სახელმწიფოს მეთაური გამოეხმაურა იმ ადამიანებს, რომლებიც მიწისძვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილნი დღემდე ელიან დახმარებას ხელისუფლების მხრიდან. ამ პირობებში არასერიოზულად მიმაჩნია იმის მტკიცება, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ დანგრეულ სახლებს ერთ წელიწადში ავაშენებთ, ამიტომ უნდა მოიძებნოს დროებითი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. შესაძლებელია მიწისძვრით დაზარალებულები განვიხილოთ როგორც დროებით ადგილნაცვალნი და მივცეთ მათ შესაბამისი შეღავათები.

ახალი სამხარეო ადმინისტრაციის უმთავრეს ამოცანად სახელმწიფოს მეთაურმა რეგიონში წესრიგის საბოლოო განმტკიცება დაასახელა. ორ-სამ თვეში აქ ამ თემაზე ლაპარაკიც კი აღარ უნდა იყოს, — განაცხადა მან, — საქართველოში აღარ დავუბრუნდებით ქაოსისა და ანარქიის პერიოდს, აღარ დაბრუნდება ის დრო, როცა სახელმწიფო კი არ იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი, არამედ სხვა, რომელიღაც შეიარაღებული ფორმირება. აღარ დაბრუნდება ის დრო, როცა ავტომატიანი კაცი შედიოდა წარმოებაში და მოითხოვდა: ნახევარი — თქვენ, ნახევარი კი ჩემი უნდა იყოსო. ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა კანონებმა თქვეს, მე მადლობელი ვარ იმ ხალხის, რომლებმაც პარლამენტში განაცხადეს, რომ ნებაყოფლობით დებენ იარაღს, მაგრამ ეს არ ეხება მხოლოდ „მხედრიონს“, არის პარტიები, რომლებსაც აქვთ გადამალული იარაღი, 200-300-400 ერთეული, ეს იარაღი უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს და იგი უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს საკუთრება.

სახელმწიფოს მეთაური მოკლედ შეეხო აგრეთვე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, კულტურული ცხოვრების საკითხებს, — რაც შეეხება კონსტიტუციას, — თქვა მან, — მასზე მუშაობა პრაქტიკულად დამთავრებულია. ის პროექტი, რომელსაც ამ დღეებში წარვუდგენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, ითვალისწინებს სამხარეო მოწყობას, ორპალატიან საპარლამენტო სისტემას და პრეზიდენტის ინსტიტუტს. სახელმწიფოს მეთაურმა თხოვნით მიმართა რეგიონის მოსახლეობას, მხარი დაუჭირონ პარლამენტის მიერ კონსტიტუციის მიღების ვადების შემჭიდროების მოთხოვნას, რათა დროულად გაიმართოს საპარლამენტო, პრეზიდენტისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნები.

დასასრულ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა მოსახლეობას მხარდაჭერისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ უახლოეს მომავალში რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი კარგად განვითარებული და აყვავებული მხარე გახდება.

* * *

თათბირის დამთავრების შემდეგ სახელმწიფოს მეთაური შეხვდა და გაესაუბრა მოსახლეობას, ესტუმრა ამბროლაურის რაიონულ საავადმყოფოს.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
დასავლეთ მთიანეთის მხარეში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ

ეკონომიკური ჩამორჩენილობის სწრაფად დაძლევის, რეფორმების წარმატებით განხორციელების, მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენების, კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და საერთო-სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით:

1. დასავლეთ მთიანეთის მხარეში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის რაიონებში) შემოღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობა.
2. დამტკიცდეს დებულება დასავლეთ მთიანეთის მხარეში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულის შესახებ.

ე. შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
თ. ისაკაძის დასავლეთ მთიანეთის მხარეში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თედო ისაკაძე დასავლეთ მთიანეთის მხარეში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულად.

ე. შევარდნაძე.

მაჯისცემა

კვლავ დაპირისპირება?

კახეთი მხოლოდ სამი ავტობუსი ხალხი როდია...

12 მაისს მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენციაზე გვიხმო, რომელსაც, ნუ მიწყენენ მასპინძლები, პრესკონფერენციას ნამდვილად ვერ ვუწოდებ (რაშიც, ალბათ, იქ მყოფი ჩემი კოლეგებიც დამეთანხმებიან). იგი საკუთარი ღირსების წარმოსაჩენად და სხვის თვალში დანახული ბეწვის საჯაროდ გამოსატანად მოწყობილ შეხვედრას უფრო ჰგავდა, ვიდრე საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებზე საპასუხოდ ორგანიზებულ ღონისძიებას. ამაზე აშკარად მეტყველებდა სპეციალურად გადაღებული ვიდეოფირი, კახეთიდან სამი ავტობუსით ჩამოსული მაშველთა კორპუსის წევრთა (ამჟამად დაკავებულთა) ახლობლებით, ამ ორგანიზაციის მხარდამჭერებითა და მოსეირეებით გაჭედილი დარბაზი.

როგორც მაშველთა კორპუსის იდეოლოგიური სამსახურის უფროსმა დოდო გუგეშაშვილმა თქვა, ეს შეხვედრა ორ გარემოებას განუპირობებია: პირველი — საქართველოში ადამიანის უფლებებს არღვევენ ისინი, ვინც მას უნდა იცავდნენ, მეორე — მაშველთა კორპუსი საკუთარი ფულით და სისხლით მოპოვებულ იარაღს ქართული ჯარის მშენებლობისთვის ნებაყოფლობით ჩუქნის თავდაცვის სამინისტროს, ამ დროს კი ხდება მისი დისკრედიტაცია.

ისიც თქვა, სახელმწიფოს მეთაურის 4 მაისის ბრძანებულებამდე (მაშველთა კორპუსის რაზმეულის წევრთათვის იარაღის დროებითი ტარების უფლების ჩამორთმევის შესახებ) დაჭერილი და გასამართლებულია კორპუსის ბევრი წევრი; ეს კი უკანონობაა, რადგან სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით ბიჭებს იარაღის ფლობის უფლება ჰქონდათო, მათი გათავისუფლების იმედი აღარ გვაქვს, რადგან დღესაც კი, როცა იარაღს ნებაყოფლობით ვაბარებთ, კვლავ ჩხრეკენ მხედრიონელთა ბინებს და აპატიმრებენო.

— ჩვენ განვაცხადეთ: ვიდრე არ გათავისუფლდება კახეთის რეგიონში უკანონოდ დაკავებული ორმოცდაექვსი ბიჭი, კახეთი იარაღს არ ჩააბარებსო, — თქვა ქალბატონმა დოდომ და დასძინა, არც იმის გარანტია გვაქვს, რომ იარაღის ჩაბარება დასავლეთ საქართველოს რეგიონებშიც მშვიდობიანად ჩაივლის. არ არის გარანტია, რომ პროვოკაცია არ მოეწყობა. ჩვენი მხრიდან ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხულია და თუ მაინც მოხდა, პროვოცირებული იქნება...

საგარეჯოს მხედრიონის უფროსზე, „მაჭახელად“ ცნობილ დავით ოთიაშვილზე ითქვა: მან ბავშვების გამტაცებელი, ადრე მხედრიონიდან გაძევებული ორი კაცი მოკლა და შინაგან საქმეთა სამინისტროშიც გამოცხადდა, ბატონმა შოთა კვირაიამ ჯერჯერობით, არაო — უთხრა. ოთიაშვილი პროკურატურაშიც მისულა და არც იქ დაუკავებიათ, დღეს კი, როგორც ძებნილს, ისე აპატიმრებენო.

ქალბატონმა დოდომ განაცხადა, კახეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ახლახან ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის დროს თავიანთ უფლებებს ამეტებდნენ, რის შედეგადაც თელავში დარბეული და გაძარცვულია როგორც მაშველთა კორპუსის წევრთა ოჯახები, ისე სხვა მოქალაქეთა სახლ-კარი, არც ცემა-ტყეპაზე დაუხევიათ უკან და არც ოქროულობისა და ვალუტის წაღებაზე უთქვამთ უარიო. ამის დამადასტურებელ ვიდეოფირებსაც გაჩვენებდით, ჩვენი პრესცენტრის თანამშრომლის კოტე ინაშვილისთვის პოლიციას რომ კამერა არ დაემტვრია და ფირი არ წაერთმია; ჟურნალისტი კი მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფის გამო ტვინის შერყევით წევს მაშველთა კორპუსის ჰოსპიტალშიო.

— ჩვენ საქართველოში წესრიგის დამყარების მომხრე ვართ, — თქვა ბოლოს ქალბატონმა დოდომ, — მაგრამ არა ბანდიტური პოლიციის ხელით — საქართველოს მორალურ-ზნეობრივად წმინდა პოლიცია სჭირდებაო.

მერე ვიდეოფირი გვიჩვენეს, სადაც პოლიციის მიერ გაჩხრეკილნი დაზარალებულებად წარმოგვიდგნენ. გაგვჯოხეს, შეურაცხყოფა მოგვაყენეს, წაგვართვესო, ტიროდნენ და ჩიოდნენ ეკრანიდან. ტელეკამერა კი ნაცემთა ჩალურჯებულ გვერდებსა და ერთიანად გადმოქოთებულ ოთახებს მსხვილი პლანით გვიჩვენებდა.

მძიმე მოსასმენი იყო ყოველივე, უფრო მძიმე კი დარბაზში წამომდგარი დედების მოთქმა-გოდება: შვილები თვალწინ დაგვიბეგვეს და დაგვიპატიმრეს, რატომ, რისთვისო?

შეხვედრაზე საგანგებოდ მოწვეულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ვალერიან გოგოლაშვილმა პოლიციისთვის წაყენებულ ბრალდებებზე კორექტულად უპასუხა და, რაც შეეძლო, შეეცადა სხვის თვალში ბეწვის მაძიებელთათვის საკუთარში დირეც დაენახვებინა, მაგრამ ამაოდ... ჯოხი მაინც მასზე, როგორც პოლიციის წარმომადგენელზე, ტყდებოდა...

ადამიანის მანკიერი ბუნება გადახრებს არ გამორიცხავს, შეიძლება ერთიორი უმსგავსო ფაქტი მართლაც მოხდაო, თქვა და ნამდვილი დამნაშავის გამოსავლენად ჟურნალისტური გამოძიების ჩატარების წინადადება წამოაყენა. ვინც თავის უფლებები ბოროტად გამოიყენა, აუცილებლად სათანადოდაც დაისჯებაო, ისიც დასძინა, ღმერთი, რჯული, მხოლოდ მხედრიონელობის მიზეზით არავინ დაგვიკავებია, დამნაშავეთა უმრავლესობას უმძიმეს დანაშაულში ედება ბრალიო.

კახეთის რეგიონის მაშველთა კორპუსის უფროსმა გია შოშიაშვილმა კი განაცხადა, თუ დაკავებული 46 კაცი დამნაშავეა, მეთაური ანგელოზი როგორღა ვიქნები, მაშინ ჩემზეც დღესვე გაიცეს სანქცია და დამაკავონო. ბოლომდე დარჩა თუ არა ამ აზრზე ბატონი გია მას შემდეგ, რაც პარლამენტარმა ალექსი კობაიძემ საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მამუკა კობახიძის ხელმოწერილი სია მოიტანა, რომელშიც კონკრეტულად იყო ჩამოთვლილი იმ 46 კაცის დანაშაულობები, ვერ გეტყვით (შეკითხვის საშუალება არ მომეცა), ბრალდებები კი საკმაოდ მძიმე იყო: ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ფულის გამოძალვა, ეჭვი მკვლელობაში, პოლიციის რეგიონულ სამმართველოს დარბევა, ცხვრების წართმევა... თუმცა თელაველმა პედაგოგმა (მისი თანამოაზრე ბევრი იჯდა დარბაზში) ყარამან მეთოდიშვილმა ქებით ლამის ცაში აიყვანა მაშველთა კორპუსი, მათი კეთილშობილური საქმიანობის სამადლობლად ქალბატონ დოდოს ბატონ ჯაბა იოსელიანისთვის საჩუქრად „ახალი აღთქმა“ გადასცა, მაშველთა კორპუსის ფონდში კი საკუთარი ქორწინების ბეჭდის საფასური 50 ათასი რუბლი შეიტანა. თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ასეც ხდება: ხან მაშველთა კორპუსი ეხმარება ხელმოკლე პედაგოგებს, ხანაც — პირიქით...

შეხვედრაზე მაშველთა კორპუსის საქველმოქმედო საქმეებიც გაგვაცნეს. სკოლებსა და ბაღებს შეშა ტყიდან ჩამოვუტანეთ, ბიზნესის რეალიზაციით მიღებული თანხა სულ სახლში არ წაგვიღია, გაჭირვებულებს ვახმარდითო, 200 სული ცხვარი ბიჭებს მეცხვარეებმა საძოვრებზე ცხვრის მშვიდობიანად გადარეკვაში დახმარებისთვის აჩუქესო და ა. შ.

მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლონგი ჭელიძემ განაცხადა, ნაომარი ბიჭებისთვის სახელმწიფოს არაფერი გაუკეთებია, ჩვენი კომერციული საქმიანობითა და ფონდის საშუალებით არა მარტო დაღუპულთა ოჯახებს ვინახავთ, არამედ იმ ყოფილ გვარდიელებსა და პოლიციელებსაც, ჩვენს გვერდით რომ იბრძოდნენ და დაინვალიდდნენო.

— ანგელოზობას არ ვიჩემებთ, ნაკლიც გვაქვს, ნასამართლებებიც გვყავნან და ულირსნიც შემოგვერჩნენ, მაგრამ თანდათან ვიხვეწებით, წინ მივდივართ. თუნდაც ის რად ღირს, რომ მაშინ, როცა ჩვენში ასე ფეხმოდგმულია ნარკომანია, მაშველთა კორპუსს ერთი ნარკომანი არა ჰყავსო, — შეხვედრის ბოლოს თქვა ქალბატონმა დოდომ.

ღმერთმა ქნას, მართლაც ასე იყოს... მეტს ვერაფერს ვიტყვი, ერთი მხარის მოსმენით დასკვნის გამოტანას როგორ გავბედავ. მით უფრო, როცა არსებობს მეორე მხარე, რომელსაც ანალოგიური შეხვედრის მოწყობა სულ იოლად შეუძლია და არც კახეთია სამი ავტობუსი ხალხი მხოლოდ...

რუსუდან ლორთქიფანიძე.

რუსუდან ბერიძე და მანანა გიგინეიშვილი ევროპარლამენტში

საქინფორმის ცნობით, 10 მაისს ევროპარლამენტში (ქ. ბრიუსელში) გაიმართა სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოში არსებული ვითარება. მასში მონაწილეობდნენ ევროპარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ავგერინოსი, სხვადასხვა ფრაქციათა და პარტიათა წარმომადგენლები, ამ ორგანიზაციაში ახლახან შექმნილი ამიერკავკასიის კომისიის წევრები (კომისიის თავმჯდომარე — ა. თრაკატელისი), ევროკომისიის ექსპერტები, საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი დ. ქორბოი, საქართველოს რესპუბლიკის ელჩი ზ. აბაშიძე.

სხდომას დაესწრნენ და სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან ბერიძემ და პარლამენტის წევრმა მანანა გიგინეიშვილმა, რომლებმაც დაწვრილებით ილაპარაკეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ჯერ კიდევ საკმაოდ რთული ვითარებისა, საქართველოში ფეხს იკიდებს და მკვიდრდება პარლამენტარიზმი, რაც ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის დიდი მონაპოვარია. მიმდინარეობს მუშაობა ახალ კონსტიტუციაზე, ქვეყანა იწყებს მზადებას არჩევნებისათვის.

გაიმართა მსჯელობა აფხაზეთის პრობლემის გარშემო, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზებისა და მისი პოლიტიკური გზით მოგვარების შესაძლებლობებზე.

გაკეთდა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის, ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან.

ევროპარლამენტის წევრებმა ყურადღებით მოისმინეს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ ვითარებაზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ ამჟამად საქართველოში აშკარად შეიმჩნევა პოლიტიკური სტაბილიზაციის აშკარა ნიშნები, ძალას იკრებს ფართო დემოკრატიზაციის პროცესი, რაც საშუალებას იძლევა მეტი ყურადღება დაეთმოს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრივ ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
ქ. თბილისში მცხოვრებ ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთა ელექტროტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის შესახებ

თბილისში მცხოვრებ ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთა ელექტროტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს მოქალაქეთა კატეგორიები, რომლებსაც 1995 წლის 1 ივნისიდან მიეცემათ უფლება უფასოდ იმგზავრონ თბილისში ელექტროტრანსპორტით და მათი დაფინანსება განხორციელდება შესაბამისი უწყებების მიერ, დანართის თანახმად.
2. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, თბილისის მერიამ და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა გამოჰყონ სათანადო ასიგნებანი დანართში აღნიშნული კატეგორიების მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.
3. „საქართველოს რესპუბლიკაში საქალაქო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 მარტის 167 დადგენილების პირველ პუნქტში სიტყვები „15 მაისიდან“ შეიცვალოს სიტყვებით „1 ივნისიდან“.
4. დანართში ჩამოთვლილი კატეგორიების მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულება სატრანსპორტო ორგანიზაციებმა და შესაბამისმა უწყებებმა განსაზღვრონ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

1995 წლის 10 მაისი.

ნუსხა:
თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა კატეგორიებისა, რომლებსაც უფლება აქვთ უფასოდ იმგზავრონ ელექტროტრანსპორტით

	ვინ დაფარავს მგზავრობის ღირებულებას
ომის მონაწილეები	რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი
ლტოლვილები	ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი
პირველი ჯგუფის ინვალიდები	სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი ფონდი
ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირები	
დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოებული პირები	
ობოლი ბავშვები, რომლებიც მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩნენ და იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე	თბილისის მერია
პერსონალური პენსიონერები	
თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის რიგითი მოსამსახურეები (ფორმიანი)	

წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

პროზის დიდოსტატი

დღეს ალბათ ძნელია დააინტერესო მკითხველი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებით, რომელიც თავისში არ ატარებს ირონიულ რეფლექსიებს.

ღირებულებათა საერთო გადაფასების ტენდენცია სრულიად გულგრილი ხდება იმ თითქოს შეუვალ კანონზომიერებათა მიმართ, რომელთაც, როგორც ჩანს, უკვე აღასრულეს თავისი ისტორიული როლი და დღეს მხოლოდ სამწუხარო ანაქრონიზმად იაზრებიან...

შორეულსა თუ ახლო წარსულს გაჰყვა — „უნეტარესი“ სუნთქვა დროისა, როცა მწერალს შეუვალი და უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა... მისგან ერის სულიერ გადარჩენას ელოდნენ, და ისიც, თითქოს მისკენ სასოებით მიდრეკილთა საპასუხოდ, თავისში ირეკლავდა ერისა თუ კაცობრიობის ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემებს...

მეხსიერებას შემორჩა და სამუდამოდ აღიბეჭდა დიდი მწერლის საზეიმო პოზა — პოზა წინასწარმეტყველისა, რელიგიური რეფორმატორისა და ადამიანთა სულიერი მოძღვრისა...

დღეს, ნებისმიერი რანგის სულიერ მოღვაწეს შეაძრწუნებდა ამ საკრალური მისიით აღჭურვა, რადგან უკვე ძალუმად იგრძნო და ალბათ კიდევაც გაითავისა ის, რომ რადიკალურად შეიცვალა (თუ იცვლება) ხელოვანის როლი და ადგილი ახალი ფსიქოლოგიური სიტუაციებით აღბეჭდილ იმ სოციუმში, რომლის აწ უკვე ერთი რიგითი წევრის ხვედრითაც უნდა შემოიფარგლოს...

ჯერ კიდევ „გუშინ“, იმისათვის, რომ მწერლობას თავისი ღვთაებრივი მისია შეესრულებინა და შეექმნა ირეალური ჰორიზონტების ილუზია, უნდა მიემართა ერთადერთი გზისათვის, „უარეყო“ რეალობა — მასზე ამაღლებით და სხვა უმაღლეს რეალობებთან შეერთებით...

მწერლობა, საერთო ნიჰილიზმისა და ღრმად შემაშფოთებელი სულიერი სიცარიელის პირობებში, ვფიქრობ გასაგები და მეტნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება, თუ კი შეძლებს უსახურობით მოხრწნილ სინამდვილეს გაუღვიძოს უიმედოდ მიძინებული მიამიტურ-ბავშვური, უფრო კი ბიჭური სული...

იყო მწერალი დღეს — ნიშნავს არ მიიღო სერიოზულად სერიოზული ადამიანები...

როგორც ჩანს, ახალი მსოფლგანცდისათვის არსებით — ირონიული იმპულსები ქართულმა მწერლობამაც გაითავისა. ამის თვალსაჩინო განსახიერებად რეზო ჭეიშვილის პროზა წარმოგვიდგება.

საგულისხმოა, რომ მის მხატვრულ ხილვებში გაცოცხლებული პერსონაჟები ისეთივე მიწიერნი და ცოდვით დამძიმებულნი არიან, როგორიც იყო დროჟამი მათი არსებობისა.

ისინი გასაოცარი უშუალობით ავლენენ ადამიანური ბუნების განუმეორებელ სურნელს, ფიქრისა და ოცნების კოლორიტულ გამას, რომელთაც მწერლის უტყუარი და გემოვნებით აღჭურვილი მხატვრული წარმოსახვა ანიჭებს სიცოცხლის უფლებას...

პერსონაჟთა ახირებული ბედისწერა, მიწიერი გრძნობებისა და მათში იმპულსურად მფეთქავ ზეციერ სასოებათა გადაჯვარედინება მწერლის მხატვრული ქმნილებების ლაიტმოტივს წარმოადგენს.

იგი დიდი ოსტატობით ახერხებს განუმეორებელი ფორმა მიანიჭოს, ერთი შეხედვით თითქოს ზედაპირულსა და უღიმღამო მოვლენებს...

მის ქმნილებებში დასმული ზუსტი აქცენტები ნათელს ფენენ მოჩვენებითი კეთილდღეობის უაზრო ინერციას ადევნებული ადამიანების ტრაგიკომიზმით აღბეჭდილ ყოფას, მათ გულუბრყვილო სულისკვეთებათა უმწეო „გაბრძოლებას“, რომლის საბოლოო შედეგი უფრო ხშირად სევდიანი და სავალალოა.

უნიკალური სულიერი გამოცდილებით აღჭურვილმა ამ ქმნილებათა ავტორმა მშვენივრად იცის, რომ ადამიანს საკუთარი თავის მართვის ღვთისგან მონიჭებული უფლება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში თუ ეძლევა, რომ არსებითად ის პირობითობებისა და სოციალური „წესრიგის“ უმწეო ტყვეა...

საგულისხმოა ისიც, რომ ამგვარი არსებობის წესის ბუნებრივ ნორმად აღიარება მწერლის გმირებისათვის, თუნდაც არაცნობიერად, მიუღებელია... ისინი ვერა და ვერ ახერხებენ იცხოვრონ და იაზროვნონ ისე, როგორც ყველა, რადგან მათივე შინაგანი ბუნებისთვისაა სულისშემხუთველი სინამდვილის მომქანცველი სუნთქვა...

სავარაუდოა, რომ მწერლის ეს ახირებული პერსონაჟები მის მეხსიერებას ცოცხლად შემორჩენილ ადამიანთა მხატვრული ორეულები არიან, იმდენად ბუნებრივი და ლაღია მათი მოქმედებისა და მეტყველების მექანიზმი... იქნებ სწორედ ეს აძლევს მას ნებას იყოს ასე უსაზღვროდ თავისუფალი...

რეზო ჭეიშვილის პროზის ჭეშმარიტი სტიქია — იუმორია... იუმორი ფილოსოფიური, თუმც, ზოგჯერ ბურლესკური, არა ინტელექტუალური დრამისათვის ნიშანდობლივი... უფრო ანეკდოტისა თუ თვით ქუჩის ფარსისათვის დამახასიათებელი...

ამ მომენტის გათვალისწინებით პიროვნება მწერლისათვის მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც შეძლო გადაერჩინა საკუთარი სახე... რა უცნაური ფორმებიც უნდა მიიღონ მისი გმირების ინსტინქტებმა, მთავარი მაინც ის შინაგანი იმპულსებია, რაც მათ თვითმყოფადობას ანიჭებს და არ აძლევს ნებას ბოლომდე ჩაიქრონ ადამიანად ყოფნის ბუნებრივი განცდა... როგორც უნდა იცვლებოდნენ მწერლის პროზაულ ქმნილებათა ტონალობანი და სტილისტური რეგისტრები, მაინც უცვლელი რჩება მხატვრულ პერსონაჟთა ეს გაუნელებელი ძალთახმევა...

პროზაულია, უფრო ხშირად, რეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყარო. გულგრილობის, ფსევდოტრადიციების უაზრო ინერციისა და საერთო მოქანცულობის ატმოსფერო სუფევს მასში. ეს ყოველივე თითქოს თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, თუ რა ღრმად შეჭრილა ჩვენი ცხოვრების გაუხეშებულ სივრცეში დეჰუმანიზაციის მომწამვლელი ტენდენცია... ყოველდღიურობის წვრილმანით დაკნინებული და მთელი არსებით მასში ჩაძირული ადამიანი გაცვეთილ ნივთს ემსგავსება, რომელსაც დაკარგული აქვს ნამდვილი ღირებულება... თუმც საოცარი ის არის, რომ მწერლის აზრით, არც თუ იშვიათად ის უფრო დიდ ხრწნილებაში ვარდება, ვინც საკუთარ თავს ამ ყოველდღიურობაზე მაღლა წარმოიდგენს. ასე რომ, ყოფიერების წინაშე მონად ქცევა კარგია ან ცუდი, თითქოს მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ შევხედავთ და შევაფასებთ მას. ამ გაუვალი წინააღმდეგობის განცდა თითქოს კიდევ უფრო ამძაფრებს მწერლის მიერ წარმოსახული სამყაროს აბსურდულობას...

მთავარი კი მაინც ისაა, რომ ადამიანის ძიების გზაწვრილზე მავალი მწერალი მათში იმ სანუკვარ „ფერმენტებს“ აკვლევს, რომელნიც ჰუმანიზმისა და შინაგანი კეთილშობილების მაღალ გრძნობებთან ასოცირდებიან.

ყველაფერთან ერთად რეზო ჭეიშვილის პროზის თვით ფაქტურაა საოცრად ორიგინალური და შთამბეჭდავი. მას უყვარს მუქჩრდილებით აღბეჭდილი თხრობის ნახევარტონები, საგანთა მკრთალი სილუეტებით მოფენილი სივრცე და ამ სივრცეში აღბეჭდილი ადამიანის იდუმალი პროფილი...

მისი პროზის გმირები თავისი ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით ბევრად უფრო რთულნი და საინტერესონი არიან, ვიდრე ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია.

საკუთარი გმირებისადმი ირონიულად განწყობილი მწერალი ყოველგვარი პათეტიკისა და სიტყვათა მანიპულირების გარეშე ახერხებს მიანიჭოს მათ ის კოლორიტი, რომელიც მათ შემდგომ ლიტერატურული სიცოცხლის უფლებას ანიჭებს... სევდიანი ღიმილით მზირალნი, ისინი მკითხველს ძალუმად აგრძნობინებენ უბრალო ადამიანის მიერ განცდილი ცხოვრების სიტკბოსა და სიმწარეს, სიხარულის წამიერებასა და უსასრულოდ გაბმულ სინანულს...

არის რაღაც დონკიხოტური მათ განსჯაში... უანგარონი და „საამური“ ცხოვრებიდან გარიყულნი, ისინი შეუმჩნევლად ქრებიან მათ მიმართ გულგრილი სინამდვილიდან...

სრულიად ცალკე აღნიშვნის ღირსია რეზო ჭეიშვილის ვრცელი მოთხრობა „კუდიანი ვარსკვლავი“.

მისი უჩვეულოდ რთული კომპოზიცია წარმოადგენს მწერლის მეხსიერებითა თუ ოფიციალური ინფორმაციებით „მოძიებული“ ამბების მხატვრულ მონტაჟს.

მწერლისათვის ორგანიული ინტერესების სფერო, ამ შემთხვევაში, უფრო ვრცელ განზომილებას იძენს და გარესამყაროს მრავალსახოვანებისა და შინაგანი დინამიკის გააზრებისაკენ მიიკვლევს გზას...

იგი თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ ირეკლება მწერლის მხატვრულ ცნობიერებაში ისტორიულ დროთა დარღვეული კავშირი, ადამიანთა ვნების უსასრულო სიმძაფრე, სიცოცხლის დაუსრულებელი დინების იდუმალი ლოგიკა... და ფიქრი წარსულსა და მომავალზე — „ხანდახან არაფერი არ გინდა — ფიქრიც კი. ყვითელი ქვიშის ალმურით გათანგული იძირები სიცხეში და ეხვევი მხურვალე აბლაბუდაში, გინდა იყო აბლაბუდაში, გინდა იყო შენში, მხოლოდ შენში“. ეს მწერლის მონოლოგია გულწრფელი და ადამიანური.

მწერლის ეს ქმნილება მოგვითხრობს ციურ მნათობთა იდუმალ მოძრაობაზე, ბავშვობისას განცდილ კურიოზებზე, რეპრესიების მსხვერპლთა მიმწუხრზე, ადამიანთა ბოროტებითა და სიძულვილით ამოღამებულ სულებზე... მოგვითხრობს ადამიანის წარმოშობასა და უგანდის ტროპიკებში ნაპოვნ გაველურებულ ბიჭზე, მარქსის „კაპიტალსა“ და რუსთაველის პროსპექტის ომზე... დაღლილი სამყაროს მოსალოდნელ სიკვდილსა და კაცობრიობის უქმურ სიზმრებზე... და კიდევ ბევრსა და ბევრ რამეზე...

სამყაროს ისტორიულ და ფსიქოლოგიურ გამოცდილებათა აბსურდული მრავალსახოვანება, ამ ქმნილების ერთგვარი ლაიტმოტივია და სწორედ მას ეფუძნება მწერლის ეთიკურ-ზნეობრივი შეხედულებების აქ წარმოდგენილი სისტემა.

მკითხველი, იმედია, იგრძნობს მოთხრობის ავტორის ღრმა წარმოსახვის ძალით აღმოჩენილ ღირებულებათა აზრსა და მნიშვნელობას,. კერძოდ, თუნდაც ადამიანის ინდივიდუალური ბედისა და ეროვნული ცხოვრების განუყოფელი კავშირის შეცნობის აუცილებლობას... და რაოდენ საგულისხმოც არ უნდა იყოს მწერლის ერთი, ფრიად ღრმა მწუხარებით ნათქვამი ფრაზა, რომ „ადამიანის ისტორია წამებაა“.. ამ მოთხრობის გამჭოლი სულისკვეთება მაინც ადამიანის შემოქმედებითი ენერგიის უხმაურო, გულწრფელი აპოლოგიაა, ყოფიერების აუტანელი სიმძიმის მიუხედავად, ბოლომდე არასოდეს რომ არ იშრიტება და მთელი არსებით მიისწრაფის თანალმობისა და სიყვარულისაკენ...

ჭეშმარიტი ხელოვანის ხელრთვით ქმნილი იუმორის, ლირიკისა და გროტესკის, დოკუმენტალობისა და სატირის ეს უნიკალური ნაერთი, კიდევ ერთი ლოგიკური ნაყოფია მწერლის მხატვრულ-ფილოსოფიური ძიებისა და იმ თანმდევი რწმენისა, რომ უსასრულოა ადამიანის შინაგანი პოტენცია და დაუშრეტელი ტანჯვასთან ჭიდილსა და მისი ძლევის ნიჭი...

ამ ბოლო დროს მწერალმა შექმნა სერგო ორჯონიკიძის ცხოვრების ლიტერატურულ-ისტორიული ქრონიკა — სახელწოდებით „რკინის სახკომი“.

ბოროტების ზეობისა და სისხლიანი ანგარიშსწორების უსაზღვრო „ყვავილოვნების“ ეპოქაა ამ ნაწარმოების თემა...

ვინ და რანი იყვნენ ამ უსასტიკესი ჟამის შემოქმედნი, კიდევ ერთხელ გაცხადდა მწერლის მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და ადამიანური გულწრფელობით აღბეჭდილ ამ ქმნილებაში.

მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან იგი უფრო მკითხველის შინაგანი განსჯის საგანი უნდა იყოს, ვიდრე ლიტერატურული ფიქრისა და ესთეტიკური შეფასების ობიექტი.

რეზო ჭეიშვილის მხატვრულ შემოქმედებასთან ნაზიარებს, მისი ენობრივი ქსოვილის უჩვეულოდ ბუნებრივი სურნელის, სიტყვის ნამდვილი ხელოვანის სინატიფის მძაფრ შეგრძნებასთან ერთად, ადამიანზე ფიქრის „ღრუბელიც“ აგყვება, რომელიც აუცილებლად შეარხევს ყველასა და ყველაფრისადმი უნუგეშოდ გაყინული ჩვენი სულების დაჩლუნგებულ სიმებს...

ჭეშმარიტი მწერლის ამ ღვთაებრივ მისიას საბედნიეროდ ჯერ კიდევ ასრულებს „კუდიანი ვარსკვლავისა“ და სხვა მშვენიერი მხატვრული ქმნილებების ავტორი.

მისი სამყარო — თითქოს მისივე ცხოვრების მატიანეა, შინაგანად ადამიანური თანაგრძნობის წყურვილით შეძრული და დაღდასმული.

უკიდურესად ლაკონური და მდიდარი ფარული ემოციური ქვეტექსტებით შემოდის იგი მკითხველის ცნობიერებაში და ხელშესახებად აგრძნობინებს მას, რომ ამ ქმნილებებში ჩამყუდროებული ადამიანური სევდა, უპირველესად აწ უკვე ისტორიად ქცეული ერთი განუმეორებელი ეპოქის შინაგანი ტრაგიზმის ცხოველი ანარეკლია... იქნებ ამიტომაც განსაკუთრებულად ძვირფასი და ახლობელი უნდა იყოს იგი ჩვენი მწუხარე თანამედროვეობისათვის....

გურამ ბენაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

და მაინც სტრატეგიული პარტნიორობის გზით

ხუთშაბათს დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ კლინტონის სამდღიანი ვიზიტი რუსეთში და იმავე დღეს იგი ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად კიევს გაემგზავრა. ეს პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იქნება უკრაინაში.

ოთხშაბათს მოსკოვში გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებმა მოლაპარაკების შედეგები შეაფასეს როგორც ნაყოფიერი და წარმატებული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტების ეს უკვე მეექვსე უმაღლესი დონის შეხვედრა პირველად დაიწყო მთელ საკითხებში მწვავე უთანხმობის ვითარებაში. მაგრამ არც ერთი მხარე არც ცდილობდა პრობლემებისათვის დრამატული, გადაუჭრელი პრობლემების ელფერი მიენიჭებინა და მხარეებმა შეძლეს კიდეც პრინციპული ხასიათის კონსტრუქციული გადაწყვეტილებების მიღება, ეხება ეს, კერძოდ, ირანისათვის რუსეთის ბირთვული ტექნოლოგიის მიწოდების საკითხს (რისი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ოფიციალური ვაშინგტონი და ამერიკის კონგრესის რესპუბლიკური უმრავლესობა), თუ ნატოს შემდგომი გაფართოების პრობლემას. რუსეთის პრეზიდენტმა შეხვედრის საკვანძო საკითხთა შორის დაასახელა ევროპის უშიშროების სტრუქტურების ევოლუცია, ახლანდელ გეოსტრატეგიულ და პოლიტიკურ ვითარებაში, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებები, ეკონომიკური თანამშრომლობა და ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები. მიიღეს რამდენიმე ერთობლივი განცხადება. პრეზიდენტმა ბორის ელცინმა რუსეთ-ირანის კონტრაქტის სამხედრო სფერო, რომელიც ცენტრიფუგების მიწოდებას ეხებოდა, გამორიცხულად მიიჩნია, ხოლო მთლიანად კონტრაქტის საკითხი შესასწავლად „გორ-ჩერნომირდინის“ კომისიას გადაეცა, რომლებმაც შესწავლის შედეგები უშუალოდ პრეზიდენტებს უნდა წარუდგინონ. ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ელცინმა სთქვა, რომ სამხედრო მოქმედება იქ პრაქტიკულად შეწყვეტილია, მიმდინარეობს მხოლოდ ბოევიკების განიარაღება. თავის მხრივ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა აღნიშნა, რომ მოსკოვის სამიტის შედეგად რუსეთისა და შეერთებული შტატების ხალხების უსაფრთხოება გაიზარდა, რომ რუსეთი თანახმაა შეურთდეს ნატოს მშვიდობისათვის პროგრამას.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის განცხადება იმის შესახებ, რომ, ჯერჯერობით არ მოხერხდა წერტილი დაესვათ ევროპის უშიშროების სტრუქტურების შექმნისა და ნატოს გაფართოების პრობლემისათვის“. **ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ჯერჯერობით, არ გამოიკვეთა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრის — ახალი რუსეთისათვის ესოდენ პრესტიჟული (როგორც შიდაპოლიტიკური, ასევე საგარეოპოლიტიკური განზომილებით) როლის და მისი ადგილის საკითხი ბიპოლარული მსოფლიოს დაშლის შემდგომი ევროპისა და მსოფლიო უშიშროების ახალ სისტემაში.** ამას, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად ართულებს ის ახალი, ურთულესი სიტუაცია, რომელიც პოსტკომუნისტურ სივრცეში შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლისა და კომუნისტური იდეოლოგიის კრახის შემდეგ, საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების მჭიდროდ ინტეგრირებული კავშირების მოშლისა და ახალი, ბევრისათვის უცხო, საბაზრო რეფორმების ხშირად ეკლექტიკური, ზოგჯერ მოუმზადებელი პრაქტიკის დანერგვის შემდეგ. **ახალი რუსეთი, ისტორიული ტრადიციების, ბირთვული პოტენციალის, უდიდესი ბუნებრივი რესურსების, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით, ისწრაფვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად დაიმკვიდროს თანასწორუფლებიანი მსოფლიოს წამყვანი ზესახელმწიფოს იმიჯი, ამასთან ერთად იკისროს პასუხისმგებლობა მსოფლიოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმის რეალურ განხორციელებას, რაზეც თავის დროზე ლაპარაკობდა მსოფლიოში აღიარებული, ერთ-ერთი უდიდესი შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, საფრანგეთის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი. მან მიიჩნია რომ შეერთებული შტატები და რუსეთი (მხედველობაში ჰყავდა საბჭოთა კავშირი) მე-20 საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს წამყვანი ლიდერები გახდებოდნენ, ევროპას მათ შორის თავისი საკუთარი ადგილი უნდა დაემკვიდრებინა საკუთარი ინტერესების დასაცავად და მსოფლიოს წონასწორობის შესანარჩუნებლად.** ბოლო ხანებშიც ამერიკის პრესაში კვლავ არაერთი მინიშნება გამოჩნდა, რომ ახალ, დემოკრატიულ რუსეთს ამერიკის ხელმძღვანელობამ უნდა შესთავაზოს (როგორც ეს ადრე არაერთხელ თქმულა) სტრატეგიული თანამშრომლობა, რუსეთის ევროპისა და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის პარალელურად. მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით ასეთი პერსპექტივა ხელს არ აძლევთ დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას. თუ როგორ განვითარდება მოვლენები ამ მიმართულებით, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. სწორედ ამ თვალთახედვით უნდა განვიხილოთ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის ახლანდელი ვიზიტის შედეგები, რომელიც ერთმნიშვნელოვნად როდი შეფასდა მსოფლიოს ქვეყნებში.

ერთი სიტყვით, სერიოზულ ანალიტიკოსთაგან არავინ არ ელოდა, რომ მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრაზე გადაიჭრებოდა უმნიშვნელოვანესი პრობლემები ან მიღწეული იქნებოდა არსებითი შედეგები. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მოსკოვის სამიტთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა თქვა, რომ ივლისში ჰალიფაქსში (კანადა), „დიდი შვიდეულის“ შეხვედრებში იგი სამჯერ მეტ სხდომაში მიიღებს მონაწილეობას, ვიდრე ეს ადრე იყო, რომ ამრიგად, „დიდი შვიდეული“ — „დიდი შვიდნახევარი“ იქნება.

ირაკლი ჯაფარიძე.

17 მაისს ჟაკ შირაკი შეუდგება პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას

1981 და 1988 წლებიდან მოყოლებული, მესამე მცდელობის შემდეგ, 1995 წლის 7 მაისს ჟაკ შირაკი აირჩიეს მე-5 რესპუბლიკის მე-5 პრეზიდენტად შვიდი წლის ვადით. მას ხმა მისცა ამომრჩეველთა 52,64 პროცენტმა, ხოლო მის მეტოქეს ლიონელ ჟოსპენს ხმა მისცა ამომრჩეველთა 47,36 პროცენტმა.

7 მაისს საღამოს, როგორც კი ცნობილი გახდა წინასწარი შედეგები, ჟაკ შირაკმა სიტყვა წარმოთქვა, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მას მხარი დაუჭირა და აღნიშნა, რომ მისი უმთავრესი ამოცანაა ებრძოლოს უმუშევრობას. ამავე საღამოს ლიონელ ჟოსპენმა პირადად დაურეკა ჟაკ შირაკს და მიულოცა გამარჯვება.

ხვალ, 17 მაისს ჟაკ შირაკი ოფიციალურად შეუდგება პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას, ფრანსუა მიტერანი ტრადიციისამებრ, გადასცემს პრეზიდენტობას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის

აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროში მომზადდა კანონპროექტი აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა აფხაზეთის იუსტიციის მინისტრს ოთარ ზენიძეს.

— ჩვენ ჯერ კიდევ აფხაზეთში დავიწყეთ არჩევნების ახალ კანონზე და აფხაზეთის კონსტიტუციაზე მუშაობა, — **თქვა ბატონმა ოთარმა.** — წინათ მიღებულ კანონს, რომელიც დისკრიმინაციულად მონათლეს, ისტორიამ თავისი შეფასება მისცა.

ჩვენ მოვამზადეთ „აფხაზეთში არჩევნების შესახებ“ კანონის პროექტი. უპირველეს ამოცანად დავისახეთ გავითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და წინ აღვუდგეთ იმათ, ვინც აღვივებს სიძულვილსა და ქსენოფობიას, უზრუნველვყოთ თანასწორუფლებიანობა და ღირსება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური სტაბილურობის ფარგლებში.

ამ დღეებში კანონის პროექტს წარვუდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო ექსპერტების გავლისა და იმ დასკვნის გამოსატანად, თუ რამდენად შეესაბამება იგი ადამიანის საერთაშორისო უფლებათა ძირითად პრინციპებსა და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონებს.

— ვფიქრობ, — **თქვა საუბრის დასასრულს მინისტრმა,** — ეს პროექტი შესაბამისობაში იქნება მოყვანილი იმასთან, თუ როგორ შეძლებენ უმრავლესობა და უმცირესობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძვლებზე სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებში ერთად ცხოვრების რეალური გზების გამონახვას.

გულიკო მარკოზაშვილი.

საით მივდივართ?

უფერხორცო აჩრდილი

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს სახელმწიფოს მექანიზმის რეფორმირების რთული პროცესი. მთავრდება კონსტიტუციის შემაჯამებელი პროექტი. მთლიანობაში მისი ღირსება-ნაკლოვანებების შესახებ საუბარი ნაადრევია, მაგრამ ერთ საკითხში, როგორც ჩანს, ქართული კონსტიტუციონალიზმის (მხედველობაში მაქვს ალტერნატიული პროექტებიც) და პოლიტიკურ ძალთა ერთი ნაწილის პოზიცია გამოკვეთილია — პროკურატურა, როგორც აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი, უნივერსალური ორგანო კანონიერებაზე ზედამხედველობისა, ზედმეტადაა მიჩნეული.

ოფიციალური თუ კონფიდენციალური დებატებისას პროკურატურის ფუნქციათა ნიველირების აუცილებლობას იმითაც ასაბუთებენ, რომ მოწინავე სამართლებრივ სახელმწიფოებში პროკურატურის სტატუსი გაცილებით მოკრძალებულია. ერთი სიტყვით, უფსკრულში მყოფ ქვეყანას პირდაპირ უმაღლეს მწვერვალებზე „ახტომას“ სთავაზობენ. არადა, ხომ უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ჯერ ახლომახლო ქვეყნების ბოლოდროინდელ პრაქტიკას გადავხედოთ, — ქვეყნებისას, რომლებიც ჩვენსავით ტოტალიტარული რეჟიმიდან გამოვიდნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მწვერვალებთან ჩვენზე ახლოს არიან და გონივრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ კიდეც წინ, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისაკენ.

ყოფილ მოძმე რესპუბლიკათა პრაქტიკა

ყოფილ სსრ კავშირის სახელმწიფოთაგან უკრაინამ, უზბეკეთმა, ყაზახეთმა, ლიტვამ, ახალი კანონმდებლობით, პროკურატურას არათუ შეუნარჩუნეს სსრკ პროკურატურის შესახებ 1979 წლის კანონით მინიჭებული ძირითადი ფუნქციები, არამედ გაუფართოვეს კიდეც უფლებამოსილებათა ფარგლები. მაგალითად, „ყაზახეთის რესპუბლიკის პროკურატურის შესახებ“ 1992 წლის 17 იანვრის კანონის 1 მუხლით პროკურატურა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უმაღლეს ზედამხედველობას კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებაზე არა მარტო ტრადიციული სუბიექტების მთელი სპექტრის მიერ (სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობისა და კონტროლის ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მათი დაქვემდებარების, კუთვნილებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, სამხედრო ნაწილები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, თანამდებობის პირები და მოქალაქენი), არამედ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური პარტიებისა და თვით მინისტრთა კაბინეტის მიერაც კი! გარდა ამისა, კანონი (მუხ. 5) პროკურატურას აკისრებს ზედამხედველობას: ა) წინასწარი (სასამართლომდელი) გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოთა მიერ კანონების შესრულებაზე (სანქციების გაცემის ჩათვლით); ბ) სასამართლოთა აქტების (განაჩენები, გადაწყვეტილებები და ა. შ.) კანონთან შესაბამისობაზე; გ) პატიმრობის, დაკავების, თავისუფლების აღკვეთის და სასამართლო წესით დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებათა აღსრულების ადგილებში კანონების შესრულებაზე. აქვე მითითებულია, რომ პროკურატურა აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას, მონაწილეობს სისხლის, სამოქალაქო და საარბიტრაჟო საქმეთა განხილვაში. გენერალურ პროკურორს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, აგრეთვე კანონთა ოფიციალური განმარტებების შესახებ წინადადებების შეტანის უფლება (51-ე, 55-57-ე მუხლები).

არანაკლებ მთავარია ისიც, რომ ამ უფლებამოსილებათა ჯეროვნად განსახორციელებლად პროკურორები კანონით აღჭურვილნი არიან შესაბამისი შემოწმებების ჩატარების, გამოვლენილ სამართალდარღვევებზე საპროკურორო რეაგირების აქტების ეფექტიანი სისტემით, გათვალისწინებულია „გარეშე ძალებისაგან“ მათი რეალური დამოუკიდებლობის, სამართლებრივი დაცვის, საკადრო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ქმედითი ღონისძიებები და გარანტიები.

დაახლოებით ასევე გამოიყურება სტატუსი უკრაინის პროკურატურისა, რომელმაც, ისევე როგორც ბელარუსის, უზბეკეთის, ლიტვის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პროკურატურებმა, შეინარჩუნა კანონიერების დაცვაზე უმაღლესი, დამოუკიდებელი, უნივერსალური ზედამხედველობის ორგანოს (სახელმწიფო-სამართლებრივი სისტემის) ინსტიტუციური მდგომარეობა, ამასთან, ხელისუფლების სამივე ფუნდამენტურ შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო-კონსტიტუციური სასამართლოების ჩათვლით), აღიარებისა და ფუნქციობის ვითარებაში.

საპროკურორო სისტემის სტატუსის კონსტიტუციური რეგლამენტაციის თვალსაზრისით, უფრო კონსტრუქციულად გამოიყურება იმ სახელმწიფოთა პოზიცია, რომელთა ძირითადი კანონებიც პროკურატურას ცალკე სისტემად გამოჰყოფს. მაგალითად, უზბეკეთის კონსტიტუციის მე-5 განყოფილებაში („სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია“) პროკურატურას ისევე ეძღვნება ცალკე თავი, როგორც პარლამენტს, პრეზიდენტს, მინისტრთა კაბინეტს, სასამართლო ხელისუფლებას. სხვა რესპუბლიკებმა (რუსეთი, ლატვია), როგორც ჩანს, ვერ გაუძლეს ზოგიერთი დაწინაურებული ქვეყნის მაგალითისამებრ პროკურატურის სასამართლო ხელისუფლების სისტემაში მოქცევის ცდუნებას — მიუხედავად მისი ერთიან, ცენტრალიზებულ, დამოუკიდებელ სისტემად აღიარებისა. ამ ქვეყანათა პოზიცია ახლოს დგას ესპანურ მოდელთან. კერძოდ, ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის მე-6 განყოფილებაში („სასამართლო ხელისუფლების შესახებ“) ცალკე (123-ე) მუხლი ეძღვნება პროკურატურას. მასში მითითებულია, რომ პროკურატურა მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას ახორციელებს (როგორც განცხადებათა საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით) მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მეშვეობით, „მოქმედებათა ერთიანობისა და იერარქიული დაქვემდებარების პრინციპებით“. პროკურატურა მოქმედებს სპეციალური ორგანული კანონის საფუძველზე. სახელმწიფოს (და არა სასამართლოს!) გენერალურ პროკურორს, ისევე როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნიშნავს მეფე სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭოს წარდგინებით. აქვე უნდა აღინიშნოს: როგორც რუსეთის, ისე ლატვიის კანონმდებლობა (პროკურატურის შესახებ კანონი აქ ძალაში შევიდა 1994 წლის 1 ოქტომბრიდან), ესპანურთან შედარებით პროკურატურას გაცილებით ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს. მაგალითად, ლატვიაში იგი არა მარტო ტრადიციული მოცულობით ახორციელებს საერთოზედამხედველობით საქმიანობას, არამედ მისი კომპეტენცია თვით მთავრობის აქტების გაპროტესტებამდეც კი ვრცელდება.

პროკურატურა პოსტსოციალისტურ ევროპულ ქვეყნებში

ევროპის ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში, რომელთა სამართლებრივი სისტემა 90-იანი წლების დასაწყისამდე ფაქტობრივად სსრკ-ს შესაბამისი სისტემის ასლს წარმოადგენდა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის (და, შესაბამისად, ამ სისტემის დასავლური მოდელებისამებრ გადაკეთების) პროცესში, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს საქართველოში დამოუკიდებელი საპროკურორო სისტემის საჭიროების ხელაღებით უარმყოფელთათვის, პროკურატურას პრაქტიკულად დიდად არ შეხებიან. საილუსტრაციოდ მოვიყვან ორ მაგალითს.

პოლონეთში პროკურატურა, ისევე როგორც წინათ, ზედამხედველობას ახორციელებს წინასწარ გამოძიებაზე, სასამართლოში და ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოებში კანონთა ერთგვაროვნად და ჯეროვნად გამოყენებაზე, წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის სასჯელთა აღსრულებაზე. იგი აწარმოებს წინასწარ გამოძიებას, წარადგენს სარჩელებს, ასაჩივრებს სასამართლოში ადმინისტრაციულ ორგანოთა უკანონო გადაწყვეტილებებს. მასვე ავალია დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და სხვა.

დაახლოებით ანალოგიურია უნგრეთის პროკურატურის ფუნქციები, ოღონდ არ არის გამოკვეთილი საკოორდინაციო და ექსპერტიზის ფუნქციები. სამაგიეროდ, იგი ვალდებულია იღვწოდეს, რომ სამართალგამომყენებელი და სხვა სახელმწიფო არასასამართლო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქენი იცავდნენ კანონს. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენთან, რუსეთში და სხვაგანაც მეტად შერისხული — საერთოზედამხედველობითი ფუქცია.

პროკურორთა „ოდისეა“ პროკურატურის სამშობლოში

უკიდურესობათა და წინდაუხედავი ნაჩქარევობის ნეგატიური გამოცდილების თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა რუსეთის ფედერაციის პროკურატურის შესახებ დოქტრინათა და კანონმდებლობის ევოლუციის ბოლო წლების ისტორია. ძალზე მოკლედ იგი ასე გამოიყურება.

ჯერ იყო და რუსეთის პარლამენტმა 1991 წლის დამლევს უჩვეულო სულსწრაფობით მოიწონა სასამართლო რეფორმის კონცეფცია, რომელმაც პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა (პროცესზე მონაწილე მხარის — ბრალმდებლის უფლებით), თუმცა, ამ დროისათვის ჯერაც არ გააჩნდათ მთლიანად სამართლებრივი რეფორმის (მათ შორის სამართალდამცავი სტრუქტურების გარდაქმნის) კონცეფცია. პარალელურად გამძაფრდა ჯერ კიდევ მანამდე დაწყებული „ჯვაროსნული ლაშქრობა“ პროკურატურის წინააღმდეგ, რასაც ხელი შეუწყო საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის არსებულმა ცნობილმა კონფრონტაციამ, რომლის დროსაც სასამართლო და პროკურატურა რატომღაც მოწინააღმდეგე ბანაკებში „ჩაირიცხა“. პროკურატურის განმაქიქებელი ამ ბუფონადის ყოვლისწამლეკავმა ტალღამ (რაშიც შესაშური ერთსულოვნებით ჩაერთვნენ „ულტრათანამედროვე“ მეცნიერები, პარლამენტართა რადიკალური ნაწილი და სხვა თანამდებობის პირნი — გაბაზრებულ-მტაცებლური საბაზრო ეკონომიკის პირმშონი თუ „უანგარო“ მფარველნი) მრავლისმნახველი ხალხიც კი განაცვიფრა და დააბნია. მაგრამ „პროკურატურისტები“ მალე გამოერკვნენ და თანდათან აღიდგინეს პოზიციები. სამიოდე თვეში (17.01. 1992 წ.) მიღებული იქნა კანონი რუსეთის ფედერაციის პროკურატურის შესახებ, რომელიც მას გაცილებით ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, ვინემ კონცეფციამ „უბოძა“. მოგვიანებით პრეზიდენტის ბრძანებულებებით პროკურატურას დამატებითი ფუნქციებიც მიენიჭა (მათ შორის დამნაშავეობასთან ბრძოლის კოორდინაციის საქმეში). ამჟამად შემუშავებულია პროკურატურის რეფორმირების კონცეფცია, სულ უფრო დაჟინებით ლაპარაკობენ პროკურატურის შესახებ ახალი კანონის მიღების, მისი უფლებების გაზრდის აუცილებლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუციამ (მუხ. 129) პროკურატურა მოათავსა „სასამართლო ხელისუფლების“ თავში..

ჩვენ კი... ანუ მინაწერის მაგიერ

ქართველებმა, სამწუხაროდ, კამერტონის პრინციპით, არათუ გავიმეორეთ რუსული შეცდომები, არამედ ჩვენი პროკურატურა დღემდე გონჯი „დროებითი დებულებით“ მოქმედებს (თუ მოქმედება ჰქვია ამგვარ ყოფას — უკომპეტენციოდ, უტექნიკოდ, უსახსრებოდ...), და, რაც მთავარია, არც „პროკურატურისტი“ თეორეტიკოსებისა თუ პრაქტიკოსების გუნდი ჩანს სადმე, არც ხელისუფლების მაღალი ეშელონებისა თუ პოლიტიკური ძალების თანადგომა იგრძნობა მაინცდამაინც, — პირიქით, ქართული პროკურატურის რეფორმირების ახალშემუშავებულ კონცეფციას დუმილით შეხვდნენ. საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტებში კი პროკურატურა უფერხორცო აჩრდილადღა გამოიყურება... და თუ „იმათი გავიდა“, ალბათ, საცაა აჟღერდება რექვიემიც... ოღონდ, ვინ იცის: იგი მხოლოდ „შიდაუწყებრივი“ გლოვის მაუწყებელი სიმბოლო იქნება თუ შეუდარებლად მეტისა — საქართველოში კანონიერების რეჟიმის და, აქედან გამომდინარე, ნორმალური სახელმწიფოს აშენების იდეის და ხალხის იმედების დიდი ხნით დასამარებისა!

იური გაბისონია,
საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, ადმინისტრაციული სამართლის რეფორმის სახელმწიფო კომისიის წევრი.

ამ დღეებში იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აღნიშნავს მისი ლეგენდარული დამაარსებლის დაბადების 100 წლისთავს.

„მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა"

ამ სიტყვებს ხშირად გვიმეორებდა ბატონი იოსებ ჟორდანია, რომელიც რუსეთში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და სათავეში ჩაუდგა თბილისში 1958 წელს დაარსებულ ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

15 მაისი ღირსშესანიშნავი თარიღი იყო ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივისათვის: ამ დღეს იოსებ ჟორდანიას დაბადების 100 წელი შესრულდა.

გორის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ლენინგრადის კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. 1938 წლამდე მუშაობდა ლენინგრადის I სამედიცინო ინსტიტუტის სამეან-გინეკოლოგიური კათედრის უფროს ასისტენტად. მომდევნო 6 წლის მანძილზე ი. ჟორდანია მოღვაწეობდა ქ. კუიბიშევის სამედიცინო ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის უფროსად, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს გახდა მოსკოვის ნ. პიროგოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეან-გინეკოლოგიის კათედრის გამგე. 1942-47 წლებში თავდაცვის სამინისტროს სანიტარული სამმართველოს მთავარი გინეკოლოგიც იყო და სათავეში ედგა წითელ არმიაში მომუშავე 8000 ქალის სპეციალური მომსახურეობის ორგანიზაციას.

იოსებ ჟორდანია გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, მაღალი პროფესიონალიზმით, გინეკოლოგიის თეორიული საფუძვლების ღრმა ცოდნით. მან დიდ წარმატებებს მიაღწია უნაყოფო ქორწინების თეორიულ-პრაქტიკული, უშვილობის პრობლემების, მისი პათოგენეზის და მკურნალობის საკითხების შესწავლაში, თუმცა ძალზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვაც მოუხდა. მის იდეებს ხორცი მხოლოდ მას შემდეგ შეესხა, როცა წარმატებით დაგვირგვინდა ქართველ მედიკოსთა დიდი წამოწყება და თბილისში გაიხსნა ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ჯ. ციციშვილსაც.

ი. ჟორდანიამ საფუძველი ჩაუყარა უშვილობის პრობლემის გადაჭრის თეორიულ-პრაქტიკულ იდეებს და თუმცა მისი მოღვაწეობა საქართველოში ძალზე ხანმოკლე გამოდგა, მან შეიმუშავა ამ პრობლემის ტაქტიკურ-სტრატეგიული გეგმა.

ტრაგიკულმა შემთხვევამ უდროოდ შეწყვიტა ბატონი იოსების ინტენსიური სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობა, საფრთხე დაემუქრა მის მიერ შემუშავებულ უნაყოფობასთან ბრძოლის სამოქმედო პროგრამასაც, მაგრამ, საბედნიეროდ, ახალგაზრდა კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა მისი თავკაცის მიერ დასახული გეგმის განხორციელებას. მისი ძირითადი არსი მოსახლეობის გამრავლების დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა იყო. ამ ასპექტში გამოიკვეთა მამაკაცის უშვილობის პრობლემა, ბრძოლა ხელოვნურ აბორტთან, ოჯახის დაგეგმარება, ბრძოლა გვიან ქორწინებებთან და სხვა. და თუმცა 4 წელი ძალზე მცირე დროა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ი. ჟორდანიას მიერ ჩაყრილი საფუძველი მეტად მყარი გამოდგა.

მეცნიერული კვლევის გზა ყოველთვის ეკლიანი და მძიმეა, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულმა, წინსვლის სურვილით შეპყრობილმა ახალგაზრდა კოლექტივმა წარმატებით სძლია ეს სიძნელენი. მისი რიგებიდან დაწინაურდნენ ჯემალ ციციშვილი, თენგიზ მესხი, თამაზ ბეგიაშვილი, გიორგი ცერცვაძე და სხვანი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ამჟამად ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სათანამშრომლო ცენტრია: ინსტიტუტი აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო საშუალებებით; ფართოდ დაინერგა ენდო, ლაპაროსკოპიული სადიაგნოსტიკო მეთოდები, ექოსკანირება, რადიო-იმუნოლოგიური კვლევა და სხვა, რაც დიაგნოზის დაზუსტების საშუალებას იძლევა თანამედროვე კვლევის დონეზე.

სულ უფრო მტკიცდება კონტაქტები საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებთან. გზა გაეხსნა ახალგაზრდობას უცხოეთის სამკურნალო დაწესებულებებში მისავლინებლად. უახლოეს ხანებში ინსტიტუტს შემატება ცოდნის თანამედროვე მეთოდებს დაუფლებული სპეციალისტები.

ახლანდელი ეკონომიკური კრიზისისა და არასტაბილური მდგომარეობის მიუხედავად, ინსტიტუტს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა თავის პაციენტებზე. მართალია, მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა გარკვეულწილად შეზღუდეს მეცნიერული კვლევა, მაგრამ ინსტიტუტის კოლექტივს სწამს, რომ ეს სიძნელეები დროებითია.

ამჟამად, ინსტიტუტის თაოსნობით, პირველად, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, გამოიყო რეპროდუქტოლოგია, როგორც ცალკე დარგი თავისი ნომენკლატურით და გრიფით. ეს საშუალებას მისცემს ინსტიტუტს აღზარდოს ფართო პროფილის სპეციალისტები რეპროდუქტოლოგიის განხრით.

ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე შეიქმნება ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭო, რომელიც ინსტიტუტის ბაზიდან გამოუშვებს სპეციალისტ-რეპროდუქტოლოგებს. ეს უთუოდ დიდი მონაპოვარია ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტისათვის.

დღეს, როცა საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა შექმნილი, ინსტიტუტის წინაშე კიდევ უფრო მასშტაბური პრობლემები დგება. ჩვენი კოლექტივი მზადაა ამ პრობლემებთან შესაჭიდებლად. ჩვენ არ დაგვივიწყნია ბატონი იოსების სიტყვები: „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა" — და ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ საქართველოს მრავალი შვილი ჰყავდეს.

ეს არის ჩვენი წმინდა და საპატიო ვალი სახელოვანი მეცნიერის ხსოვნისა და მშობლიური ხალხის წინაშე.

არჩილ ხომასურიძე,
ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნუნუ მაისურაძე,
რეპროდუქციული ორგანოების ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შოთა ნიშნიანიძე

ბალადა პროფესორ ჟორდანიას გმირობაზე

1962 წელს რიო დე ჟანეიროს მახლობლად ცეცხლმოდებული თვითმფრინავი ოკეანეში ჩავარდა. პროფესორმა ჟორდანიამ თავისი მაშველი რგოლი ერთ უბილეთო გოგონას დაუთმო, თვითონ კი ცურვა არ იცოდა და დაიღუპა.

I.

მკერდშენგრეული ბოინგი მკვდარ ვეშაპივით ტოკავს,
ზღვა თავზე წაუხურია, როგორც კეისარს ტოგა.
ჭყლეტა... ყვირილი... ჩოჩქოლი... და განწირულთა შიში
ჯერ კიდევ აუფეთქებელ ნაღმის წააგავს შიშინს.
ისვრის შტურმანი ბრძანებებს... მაშველ რგოლივით ისვრის,
ჟილეტს იცვამენ... ძებნა აქვთ სკამის ნატეხის... ფიცრის.
კარს აწყდებიან ზრიალით... ზღვაც იფოფრება სამტროდ,
ამ ცოდვის ორომტრიალში ძაღლი ვერ იცნობს პატრონს.
და როცა მთლად შეიშალნენ მოსალოდნელი საფრთხით,
ბავშვის ტირილი გაისმა, როგორც ჰულოპინი ბარტყის.
უბილეთოა გოგონა... და უპირველეს ყოვლის
არც ჟილეტი აქვს საბრალოს და არც მაშველი რგოლი.
ვიღაცამ რგოლი მოიხსნა... თავი გადადო მსხვერპლად
და იმ წამს შარავანდედი საკუთარ ხელით ეპყრა.

II.

„დედაენით" გაზარდეს, მეგრულ იავნანურით,
ავთანდილის ანდერძით, ცოტნეს ცხენის თქარუნით.
საწყალ ხარის ტირილით, ჩიორას სიბრალულით,
მაგრამ, პირველ ყოვლისა, ბავშვების სიყვარულით
ფრთებს ისხამენ ქართული ჯეჯილ-სალამურები,
მგლის ლეკვები ქართული, ქართული ამურები.

III.

თქვენ დიდი ერის შვილი ხართ, ო, დიდი ერის, მისის,
ქვეყანამ იცის ამიტომ დიდებულება მისი.
თქვენ დიდი ქვეყნის შვილი ხართ, მაგრამ იცოდეთ ბარემ
არის პატარა კოლხეთიც — დიდთა რაინდთა მხარე.
მისის, თქვენ უკვე გათხოვდით, თქვენ უკვე გქვიათ დედა,
ბედნიერი ხართ, ძვირფასო, ბედნიერი ხართ მეტად,
და ვინც სიცოცხლე გაჩუქათ, თუ გაგონდებათ ნეტა?
თქვენ გესიზმრებათ ის კაცი და ვერც ივიწყებთ რადგან
მაშველი რგოლი იმ სულმნათს შარავანდედად ადგას.
მობრძანდით, როგორც შვილობილს, ისე მიგიღებთ მისის,
მობრძანდით, ძველი ერი ვართ, ვის როგორ დავხვდეთ ვიცით,
გვიყვარს მზე, მთვარეც ქართული, მაგრამ ორივე მგონი,
ცად გვიკიდია სტუმრისთვის, როგორც მაშველი რგოლი.

არდავიწყება

ვალერიან თორდია

იყო იგი კაცი ნათლით მოსილი. სამართალი და სიმართლე იყო მისი ლამპარი და ამ ლამპარის შუქით [illegible] ვად და ასხივოსნებდა ყველას, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია მას.

ვალერიან არსენის ძე თორდია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, ბრწყინვალე მამულიშვილი და მოღვაწე, ლამაზი ოჯახის პატრონი, უსათნოესი და უერთგულესი მეგობარი, გამჭრიახი გონებით, კეთილშობილებისა და კაცურკაცობის განსახიერება ჯერ სრულიად ყმაწვილი დაადგა დიდი სამამულო ომის მძიმე გზას და იბრძოდა ვაჟკაცური თავდადებით, რადგან იქ, იმ სისხლის ბაზზედაც სიმართლეს იცავდა, საკუთარი სისხლი გაუღია ამ გამარჯვებისათვის.

სადაც კი უღვაწია, სადაც სიტყვა უთქვამს, საქმედ უქცევია. ამ მაღალპროფესიულ იურისტს ყველგან სიმართლე და სიკეთე უთესია და სიყვარული მოუმკია. ქ. სოხუმის პროკურატურის გამომძიებელი იყო, ქალაქის მოსამართლე, სოხუმის თუ გულრიფშის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე — ყველგან, ყოველთვის თემიდას სასწორზე სამართალს მისხალ-მისხალ წონიდა. იცოდა ფასი ერთგულებისა, სიყვარულისა, პრინციპულობისა და შეუვალობისა და ამავე შემართებით აღზარდა მთელი თაობა, მისი საქმის ღირსეული გამგრძელებლები.

მადლი ღმერთს, სიკვდილით არ მთავრდება არსობა ადამიანისა, მით უფრო ისეთი პიროვნებისა, როგორიც ვალერიან თორდია იყო.

დიახ, არის კიდევ ერთი სიცოცხლე — ლამაზი, შეუვალი, მარადიული და მას ხსოვნა და არდავიწყება ჰქვია სახელად.

სწორედ ამ ხსოვნისა და არდავიწყების ნათელით ცხოვრობს დღესაც სამიოდე წლის წინათ ჩვენგან წასული და მაინც ჩვენს შორის დარჩენილი ვალერიან თორდია.

დავით მანაგაძე, გალაქტიონ ნაჭყებია, კოტე სიჭინავა.

გახსენება

ელისაბედ (ეთერი) პარკაძე-ჯიჩოშვილისა
გიორგი (იაგორ) ჯიჩოშვილი

ძვირფასო მშობლებო, უზომოდ გიყვარდათ პრესა და პრესის საშუალებით გვინდა გაგესაუბროთ.

ძვირფასო მშობლებო, წახვედით და მოურჩენელი ტკივილი დატოვეთ თქვენი შვილების გულებში. შვილები კი მრავლად გყავთ — ოთხი ვაჟი და ოთხი ქალი. შვილიშვილები და შვილთა შვილები ავსებენ და ამხიარულებენ თქვენს დანატოვარ დიდ ოჯახს, ხალხმრავლობაა ჩვენს სახლში, მაგრამ მაინც უზომო სიცარიელეს ვგრძნობთ იმის გამო, რომ თქვენ აღარა ხართ, უზომოდ გვაკლიხართ, ჩვენო საყვარელო დედა, ჩვენო ძვირფასო მამა, წახვედით და დაგვიტოვეთ კეთილი დარიგებები, რომელთაც ერთგულად ვასრულებთ და ოჯახურ ტრადიციებს ღირსეულად ვაგრძელებთ. ნეტავ კიდევ გაგვაგონა ის თქვენი ლამაზი ხმა, რომ იტყოდით ხოლმე, ჩვენი სიმდიდრე შვილები, სახელი და დაუღალავი კეთილი შრომააო. შრომაში იწრთობოდა თქვენი მარჯვენა და ავტორიტეტიც მოდიოდა. სადაც კი გიმუშავია, მამა, მადლობა და ჯილდოები დაგიმსახურებია, ბრეძის სასოფლო საბჭოს ყველა მოწვევის გულისხმიერი დეპუტატი იყავი, ლამაზი წლები იყო თავდადებული შრომისა და დაფასებისა, არაფერი არ გიკვირდა, ზეაწეული არავის უნახავხარ, ისეთი კაცი არ იყავი, საქვეყნოდ რომ გაჰყვირის: „შეხედეთ, რა გავაკეთეო".

10 მაისი, დედიკო, თქვენი დაბადების დღე იყო... გილოცავთ, დედა, დაბადების დღეს. ლამაზად იცოდი ხოლმე თქმა, ვარდობის თვეში ვარ დაბადებულიო. მოვალთ, დედიკო, ვარდებით, დღესაც გვეამაყება ლამაზი სულის, მაღალი ინტელექტისა და კეთილშობილების პიროვნებები რომ იყავით, ასაკს მნიშვნელობა არა ჰქონია, შვილისათვის მშობელი ყოველთვის დიდი ტკივილი ყოფილა. იძინეთ ტკბილად, მანდ მაინც მოასვენეთ ჩვენზე ფიქრით დაღლილი გულები, ამაგდარო მშობლებო.

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური ბრეძის მიწა.

შვილები: მიხეილი, ლენა, დოდო, ილია, სალომე (კლარა), სოფიო, თამაზი, რობერტი ოჯახებით.

მამუკა გაგელაია

შენ 25 წელი უნდა შეგსრულებოდა. როგორი ხანმოკლე აღმოჩნდა შენი სიცოცხლე, მიუხედავად ამისა, შენ შესძელი საყოველთაო სიყვარულის მოპოვება, ზრდილობისა და სიკეთის განსახიერება იყავი. სიცოცხლეს შეტრფოდი, არ დაგაცალეს, ხალხის სამსახურში ყოფნა გინდოდა, არ დაგანებეს, შვილის დაბადებას ელოდებოდი, არ დაგინდეს. შენი პაწაწინა თამუნა უკვე ობოლი მოევლინა ქვეყანას. მამის ალერსს მოკლებულს გინდოდა მთელი სითბო შვილზე გადაგეტანა, მაგრამ საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის 1994 წლის 21 დეკემბერი, ამხანაგებთან ერთად მიმავალს არაკაცები გადაგეყარნენ, სიკვდილმა შენ გამოგარჩია და ამით დაუკოდა გული შენს მეგობრებს, ჩაუქრო დედას ერთადერთი ანთებული ლამპარი, დააქვრივა სულ ახალგაზრდა გოგონა, დააობლა უცოდველი პატარა.

კეთილ ხალხს ქვეყნად რა დალევს, არ გაუშვებენ შენს პატარას, მაგრამ ვაი, რომ უკეთურებიც მრავლად ყოფილან და იმიტომ ითვლები შენ დღეს მკვდრად, რომ შენმავე მოძმემ გიმტრო და გაგიმეტა სასიკვდილოდ.

ჩვენო მამუკა, მსუბუქი ყოფილიყოს მიწა შენი ახალგაზრდა გულისათვის და ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. მარად დაუვიწყარი იქნები ჩვენთვის.

შენი დეიდა **ნარგიზა ჭანტურია.**

ხსოვნა

დიმიტრი ნაფეტვარიძე

საქართველოს მენავთობეთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული გეოლოგი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი, დეპარტამენტ „საქნავთობის" ნავთობისა და გაზის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრის წამყვანი ინჟინერი **დიმიტრი თევდორეს ძე ნაფეტვარიძე.**

დაიბადა 1915 წელს ვანში. 1941 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, რის შემდეგ მუშაობს ტრესტ „საქნავთობში" და სიცოცხლის ბოლომდე სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზეა. მან ცხოვრების რთული გზა განვლო ბურღვის ოსტატიდან წარმოების ხელმძღვანელამდე. მილებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდოები.

დ. ნაფეტვარიძე იყო იშვიათი ბუნების ადამიანი, უპრეტენზიო, კეთილშობილი, კარგი სპეციალისტი, მეგობარი და მოქალაქე, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და თანამშრომელთა გულში.

„საქნავთობის" დეპარტამენტი; ნავთობისა და გაზის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ცენტრი; ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქლითონის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაერთიანების ღვაწლმოსილი მუშაკი

ჯემალ კონსტანტინეს ძე ჯურხაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ინფორმაცია

კვლავ განუკითხაობა!

როგორც „იფრინდას" კორესპონდენტი იუწყება, 13 მაისის ღამეს აფხაზეთის გალის რაიონში დაუდგენელმა პირებმა ავტომატური იარაღით დახოცეს 4 ქართველი ლტოლვილი, რომლებიც ნათესავის დასაფლავებაზე წალენჯიხის რაიონიდან ჩავიდნენ. გალის რაიონში გადასულა 6 ლტოლვილი, რომლებისთვისაც ცეცხლი გაუხსნიათ სოფელ ლეკუხონის ახლოს, როდესაც დასაფლავებიდან წალენჯიხის რაიონში ბრუნდებოდნენ.

ხუნაგის ეპიდემიის საშიშროება

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, გურიის მხარეში დაფიქსირდა (დიფტერიით) დაავადების ორი შემთხვევა, ერთი — ლეტალური შედეგით. ამ მწვავე ინფექციური დაავადების გავრცელების რისკის ზონას მხარის ყველა რაიონი წარმოადგენს. ხუნაგის გავრცელების აღკვეთის მიზნით გურიის მხარის რწმუნებულის აპარატთან შეიქმნა სპეციალური კომისია. ინტენსიურად მიმდინარეობს მოზარდთა და ბავშვთა აცრა.

„სინდის" უსინდისო საქმენი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „საქართველოს ბანკიდან" ფირმა „სინდის" პრეზიდენტისა და ბანკის თანამშრომლის მიმართ. ისინი ყალბი მემორიალური ორდერის გამოყენებით დიდი რაოდენობით იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას.

საგამოძიებო დეპარტამენტისა და ორგანიზებული დანაშაულის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლების ერთობლივად განხორციელებული ქმედითი ღონისძიების შედეგად, თანხის ნაწილი ჩამორთმეულია, რომელიც უკვე ჩაბარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად.

გამოძიება გრძელდება.

უცხოურ ვალუტათა კურსები არ შეცვლილა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 15 მაისს გაიმართა მორიგი საჯარო ვაჭრობა, რომელზეც გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 291.100 ამერიკული დოლარი და 28 მილიონი რუსული რუბლი. როგორც დოლარის, ისე რუბლის კურსები დარჩა იმავე დონეზე, რომელიც დაფიქსირებული იყო გასულ პარასკევს გამართულ ვაჭრობაზე — შესაბამისად 1.800 ათასი კუპონი და 281 კუპონი.

დაკმაყოფილდა პარლამენტის წევრთა შუამდგომლობა

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობით, 1995 წლის 17 აპრილს გამოძიების მიერ დაკმაყოფილდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრთა შუამდგომლობა ბრალდებულ ვალერი დავითის ძე ნაყოფიას მიმართ ადრე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების — წინასწარი პატიმრობის სხვა სახის ღონისძიებაზე შეცვლის შესახებ, განთავისუფლდა რა წინასწარი პატიმრობიდან, მას ჩამოერთვა გაუსვლელობის ხელწერილი.

ამჟამად ვ. დ. ნაყოფიას ბრალი ედება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლით (საერთაშორისო ფრენის წესის დარღვევა) და 274-ე მუხლის „გ" პუნქტით (საბრძოლო ვითარებაში სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება) გათვალისწინებულ დანაშაულში. ვ. დ. ნაყოფიამ ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ, კერძოდ, არ ცნო თავი დამნაშავედ საერთაშორისო ფრენის წესის დარღვევაში და სრულად ცნო თავი დამნაშავედ საბრძოლო ვითარებაში სამსახურისადმი დაუდევარ დამოკიდებულებაში.

ვ. ნაყოფიას და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება გრძელდება.

ფულის გამომძალველი კვლავ მოქმედებს...

რესპუბლიკის პროკურატურამ ამა წლის 10 იანვარს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გააკეთა განცხადება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერმედსერვისის" პრეზიდენტის ნანული გარაყანიძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, იმის გამო, რომ მან საზღვარგარეთ სამუშაოზე მოწყობის მოტივით, 1993-94 წლებში მრავალ მოქალაქეს გამოსძალა დიდძალი უცხოური ვალუტა.

მიუხედავად ამისა, ნანული გარაყანიძე მაინც აბერხებს ზოგიერთ მოქალაქესთან კონტაქტს და ფულის გამოძალვას.

რესპუბლიკის პროკურატურა კვლავ აცხადებს, რომ მოქალაქე გარაყანიძეზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გაცემულია დაპატიმრების სანქცია და იძებნება.

მოქალაქეებს, ვისაც რაიმე ინფორმაცია აქვთ ნანული გარაყანიძის ადგილსამყოფელის შესახებ, ვთხოვთ, შეატყობინონ სამართალდამცავ ორგანოებს, ან რესპუბლიკის პროკურატურას შემდეგ ტელეფონზე: 98-21-58.

დაზარალებულ მოქალაქეებს ვთხოვთ, მოგვმართონ რესპუბლიკის პროკურატურაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, გორგასლის ქ., №24.

რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

სამტრედიის სკოლა-ლიცეუმი ქალას იპრშს...

ორი წელი სრულდება, რაც სამტრედიის არასრული სკოლა გადაკეთდა ლიცეუმად. იგი ქალაქის სხვადასხვა სკოლის წარჩინებული მასწავლებლებით დაკომპლექტდა.

სკოლის დირექტორის ნატო კოპალეიშვილის აზრით, მრავალპროფილიანი ლიცეუმი ჩვენში მომავლის სასწავლებელს წარმოადგენს და მას ასეც უწოდეს „ოცდამეერთე საუკუნე".

სკოლის უფროს კლასებში პროფილური სწავლებაა: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და ტექნიკური. სხვა სკოლებისაგან განსხვავებით ლიცეუმში ასწავლიან ეთიკას, ქცევის ნორმებს, საზღვარგარეთის ლიტერატურის შესავალ კურსს, ქართულ ფოლკლორს.

ძალ-ღონეს არ იშურებს მოსწავლეთა აღზრდა-სწავლების საქმეში დაწყებითი სკოლის პედაგოგი ნაირა ქორიძე. იგი ჩინებულად ფლობს სწავლების მეთოდებსა და ხერხებს.

უკვე გამოიკვეთა სწავლისა და აღზრდის სრულყოფილი კომპლექსების გამოყენების შედეგები, დღეს ლიცეუმი ამაყობს დაწყებითი სწავლების ისეთი წარჩინებული მოსწავლეებით, როგორიც არიან შოთიკო ვაშაკიძე, ელიკო ქიქნაძე, ირაკლი მხეიძე, გიორგი გოგბერიძე, ვლადი ხურციძე, ქრისტინე ნუცუბიძე და სხვები.

გულიკო მაზაკიძე.

КОНФЛИКТ В АБХАЗИИ

Общество книголюбов Грузии им. И. Чавчавадзе
Фонд Э. Шеварднадзе «Демократия и возрождение»
Апрель 1995 г.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოებამ და ედუარდ შევარდნაძის ფონდმა „დემოკრატია და აღორძინება" გამოსცეს რუსულენოვანი გაზეთი „კონფლიქტ ვ აბხაზიი", რომელშიც მრავალ საინტერესო მასალას შეხვდება დაინტერესებული მკითხველი.

კერძოდ, გაეცნობით მარიამ ლორთქიფანიძის, ირაკლი მაჭავარიანის, ლორიკ მარშანიას, ავთანდილ მენთეშაშვილის და სხვათა სტატიებს აფხაზეთის ისტორიის, მისი წარსულის, დღევანდელობის შესახებ, დაგაინტერესებთ აფხაზეთის ომის ამსახველი მასალები. საგულისხმოა, რომ რუსულენოვანი მკითხველი მრავალ ჭეშმარიტებას შეიტყობს ამ ომის შესახებ, ახალი გაზეთის მთავარი დანიშნულებაც სწორედ ეს არის.

დარჩა 3 ტური

ფოთში გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „კოლხეთსა" და თბილისის „დინამოს" შორის.

ეს პრინციპული შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს 3:2 (გოლები: ჯამარაული — 3, დარასელია — 2) და ფინიშამდე სამი ტურით ადრე ერთი ქულით ჩამორჩებიან ერთპიროვნულ ლიდერს — „სამტრედიას".

დავეხმაროთ ნაკრებს!

პარასკევს, 19 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება საქველმოქმედო საკალათბურთო საღამო, რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება ინგლისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მიმავალ საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნულ ნაკრებს.

გამოცხადდებიან და დაჯილდოვდებიან სეზონის საუკეთესო კალათბურთელები, მოეწყობა შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველ და მეორე ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის, გაიმართება კონკურსი სამქულიან ტყორცნებსა და ბურთის ჩატენვაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვახტანგ ნაცვლიშვილი, რევაზ ჩხეიძე, ლევან ქარაბაკი, ირაკლი ბაქრაძე, მალხაზ ანდღულაძე და ლეგიონერები: სლოვაკეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ნიკოლოზ დერიუგინი,** რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **კახაბერ შენგელია** და ყველა დროის ყველაზე ტანმაღალი ქართველი კალათბურთელი, სლოვენიის ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი **ვლადიმერ სტეფანია** (214 სმ.).

დასაწყისი — 18 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ქართველთა 2 „ოქრო"

პეტერბურგში დასრულებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა სპარტაკიადაზე ქართველმა სპორტსმენებმა ორი ოქროს მედალი დაიმსახურეს.

ტანმოვარჯიშე ვაჟთა მრავალჭიდის ჯამში ყველას აჯობა და აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ქუთაისელმა ილია გიორგაძემ (მწვრთნელი ნიკოლოზ ჭანტურია), ძიუდოისტთა ასპარეზობა კი მოიგო ამ სახეობაში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის — შოთა ჩოჩიშვილის ვაჟმა რამაზ ჩოჩიშვილმა. შეგახსენებთ, რომ უსახსრობის გამო საქართველოს დელეგაცია ნევისპირა ქალაქში მასპინძელთა დაფინანსებით არასრული შემადგენლობით გაემგზავრა.

ქართული სპორტის პრობლემები

„ავაზას" ნახტომი გვენატრება

დღევანდელ გაჭირვებულ ცხოვრებაში არავის ულხინს, მით უმეტეს, ქართულ სპორტს, რაშიც კიდევ უფრო დავრწმუნდით ქ. თბილისის მერიის განათლების სამმართველოს მიხეილ მესხის სახელობის ოლიმპიური რეზერვების საფეხბურთო გუნდ „ავაზას" ბაზის ხილვისას. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ იქ შექმნილმა სიტუაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ბაზის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ჩამონგრეულია კედლები და ამ ფონზე საცოდავად გამოიყურება შენობის ერთადერთი ნათელი წერტილი — დიდი მიშა მესხის სურათი. გული დამეკოდა, მაგრამ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც მეგონა...

„ავაზას" დირექტორი, უმცროსი მიშა მესხი, ბაზაზე არ დაგვხვდა და ვესაუბრე სასწავლო ნაწილის გამგეს **მალხაზ კოდანაშვილს,** რომელმაც განაცხადა, რომ შენობის შესაკეთებლად მერიამ უკვე გამოიყო? გამორიცხა სამი მილიარდი კუპონი. ლაპარაკია საფეხბურთო მოედანზე, სადაც ახლა ქვა-ღორღი ყრია და, ამდენად, ნორმალური წვრთნავარჯიშის ჩატარება, მით უფრო — ასპარეზობა, შეუძლებელია. მაგრამ აქვთ ცხელი წყალი, რომელიც მეგობრების დახმარებით დაუმონტაჟებიათ.

დღეს „ავაზაზე" ყოველდღე ვარჯიშობენ ბავშვები — 400-მდე ნორჩი 16 მწვრთნელი ავარჯიშებს. უჭირთ ბურთები, ფორმა, მაგრამ დაინტერესება დიდია (რაც, ალბათ, კიდევ უფრო გაამრავა, ეროვნული ნაკრების და თბილისის „დინამოს" საერთაშორისო სარბიელზე გასვლამ) და ავაზელები სიხარულითა და მონდომებით ღვრიან ოფლს... ნორჩ ფეხბურთელებს იწვევენ საზღვარგარეთ საასპარეზოდ, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული არიან მინიმუმს დასჯერდნენ. რაოდენ დასანანია, რომ ამ ბავშვებს თურმე არც ერთი კერძო ფირმა არ ეხმარება! არადა, ნამდვილი გულიანი და ფულიანი სპონსორი მართლაც ფეხზე დააყენებდა ჩვენი სათაყვანებელი მიშა მესხის სკოლას.

„ავაზას" ხელმძღვანელობა დიდად მადლობელია თბილისის მერიის თავკაცის ნიკო ლეკიშვილისა. სწორედ მერიის შემწეობით „ავაზა" 160 ბავშვის შემადგენლობით იანვარში ორკვირიან შეკრებაზე იმყოფებოდა ქობულეთში, სადაც, მათი თქმით, ძალზე ნაყოფიერად ივარჯიშეს. ასეთი შეკრებები თუ ხშირად მოეწყობა, დიდად წაადგება სკოლის აღსაზრდელებს. ისინი კი, მოგეცათ ღონე, მშვენიერ იმედებს იძლევიან — მონდომებული, დისციპლინიანი, უდავოდ ნიჭიერი ჭაბუკები არიან.

„ავაზა" ახლა აპირებს მონაწილეობა მიიღოს ქ. თბილისის სპარტაკიადაში, რომელსაც ქალაქის მერია აწყობს „ავაზას" ბაზაზე 21-26 მაისს.

ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები აპირებენ გაემგზავრონ ზელენოგორსკში, სადაც ჩატარდება შეკრება 25 ივლისიდან 25 აგვისტომდე. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ჩვენი ნორჩები გამართავენ შეხვედრებს თანატოლებთან — „სმენასთან", „ზენიტთან" და სხვა გუნდებთან.

მალხაზ კოდანაშვილმა აღნიშნა, რომ ისინი, შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ცდილობენ ჰქონდეთ გაცილებით უკეთესი შედეგი და გაზარდონ კარგი ფეხბურთელები.

დასასრულს მათ მთხოვეს ჩვენი გაზეთის საშუალებით, დიდი მადლობა გადავეცა ქალაქის მერიისათვის, რაზეც ზემოთაც ვთქვი, ასევე მთლიანად განათლების სამმართველოსთვის, განსაკუთრებით — გია ალიბეგაშვილისთვის, რომლებიც გვერდში უდგანან „ავაზას" საფეხბურთო გუნდს. პატრიოტი ადამიანების დახმარებით სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო სკოლის — „ავაზას" ბაზა კეთილმოეწყობა, მთელი ძალით დაიწყებს ფუნქციონირებას და გაზრდის ახალ ტალანტებს!

იაგო სავანელი.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**